პარასკევი 1919 წ. იანვრის 17 № 12

ყოველდღიური გაზეთი

პარასკევი 1919 წ. იანვრის 17 № 12

ფასი თბილისში და პროვინციაში 1 მან. რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

ღრმად დამწუხარებულნი ძმა კონსტანტინე თუმანიშვილი ცოლით და შვილებით, და ნატალია აბაშიძისა შვილებით და რძალი მელანია თუმანიშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და

**მარიამ (მაკრინე) ნიკოლოზის ასული**

**ლორთქიფანიძისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე; გამოსვენება შაბათს, 18 იანვარს, დილით 10 საათზე თავის ბინიდან (კოჩუბეის ქუჩა, სახლი № 13) ანჩისხატის სობოროში, დაკრძალვა კი წმიდა ნინოს სასაფლაოზე. 2—2023—1

ღრმად დამწუხრებული შვილები: ალექსანდრე ლორთქიფანიძე, ელისაბედ და ოლღა წერეთლები, ნინო ნადირაშვილისა თავის ქმრით და შვილებით და რძალი ნინო პეტრეს ასული ლორთქიფანიძისა თავის შვილებით, უღრმეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

**მარიამი (მაკრინე) ნიკოლოზის ასული**

**ლორთქიფანიძისა**

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე. გამოსვენება შაბათს, 18 იანვარს, თავის ბინიდან კოჩუბეის ქ. № 13 ანჩისხატის სობოროში. დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1—2023—1

გულ-დათუთქულნი: მეუღლე თავის შვილებით დავითი და შალვა გიგინეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ქმარი მეორეთა მამა

**დიმიტრი ელიზბარის ძე გიგინეიშვილი**

დასაფლავება დღეს პარასკევს, 17 იანვარს სოფ. ჯვარყვეთში წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში. 1—2024—1

დამწუხრებულნი, სიძეები: გიორგი მაჭუტაძე, მეუღლე პაშათი, არტემ ნაკაიძე ცოლშვილით, კიკილო ბოლქვაძე მეუღლით ოლღათი და იოსებ ჩხატარაიშვილი მეუღლით ანასტასიათი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი ძვირფასი მამა და სიმამრი

**დიმიტრი ელიზბარის ძე გიგინეიშვილი**

დასაფლავება 17 იანვარს, პარასკევს, დღის 12 ს. სოფელ ჯვარყვეთში წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. 1—2024—1

**რაჭის სამაზრო საერობო გამგეობა**

აცხადებს, რომ ხსენებულ მაზრაში ასარჩევია ორი მომრიგებელი მოსამართლე. ვისაც ჰსურთ არჩეული იქმნან განცხადება უნდა შემოიტანონ გამგეობის სახელზედ ქ. ონში. 2—2022—1

**გამოვიდა ქართულ ენაზე**

**„ახალი კანონები მუშათა დაზღვევის და უზრუნველყოფისა ავადმყოფობის დროს".**

იყიდება შრომის სამინისტროს კანცელარიაში და ჰღირს ორი მანეთი. 5—2021—2

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა**

დღეს, 17 იანვარს წარმოდგენილი იქნება:

**კ ა მ ო რ რ ა**

დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

კვირას, 19 იანვარს დილით „რიგოლეტტო", საღამოთი

**ლოტბარ სტოლერმანის ბენეფისი**

**რუსლან და ლიუდმილა**

**ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

**„ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო"**

**1919 წელ.** | **წლიწადი მეხუთე** | **1919 წელ.**

მორიგ მასალის გარდა გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული

**რომანი „ტრფობა წამებული" რომანი**

**გაზეთის ფასი:**

**წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.**

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

**გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია**

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო". ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

## სომხეთ-საქართველოს კონფერენცია

ჩქარა დასრულდება სომხეთ-საქართველოს სამშვიდობო კონფერენცია. როგორც გაზეთებში გამოქვეყნებულ არა ოფიციალურ ანგარიშებიდან სჩანს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კონფერენციას განსახილველად წარედგინა, საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტილა. ჩვენი ჯარები რჩებიან იმ ხაზზე, რომელსაც ომის დასრულებისას მიაღწიეს და არა იმაზე, რომელზედაც 25 დეკემბერს იდგნენ. ნეიტრალურ ზონაში ადმინისტრაცია ქართულ-სომხური იქნება, სამაგიეროდ რკინის გზა საქართველოს გზათა სამინისტროს სრულს გამგებლობაში დარჩება. ბორჩალოს ახალქალაქის მაზრა სავსებით საქართველოს უდავო ტერიტორიათ ცხადდება.

ეს უეჭველად ჩვენი დიპლომატიური გამარჯვებაა. მართალია, ლორის სამხრეთი ნაწილი დღესაც არარატის რესპუბლიკის განკარგულებაში რჩება, მაგრამ ეს რასაკვირველია არ ნიშნავს მის საბოლოოდ დაკარგვას. ჩვენი პრეტენზიები ამ პროვინციის მიმართ შეურყეველნი რჩებიან.

რით აიხსნება ეს დიპლომატიური გამარჯვება? თითქმის ყველა სადაო საკითხის გადაჭრაში ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებს მხარი დაუჭერიათ ჩვენი მოთხოვნილებებისათვის. მაგრამ, როგორც ცნობილია, მოკავშირეების გულის მოსაგებათ ჩვენ არ გვიხმარია დაშნაკური თვალთმაქცობა. როგორც ბრძოლის ველზე მილიტარული სიძლიერით, ისე კონფერენციის დარბაზში ზნეობრივი სიძლიერით გავიმარჯვეთ. საღი რეალიზმით გამსჭვალულმა ევროპიელებმა სწორეთ ასწონეს და დააფასეს თვითეული მხრის ფიზიკური და მორალური ძალა.

ამ მხრივ დიდათ საგულისხმოა კონფერენციის ერთი მომენტი. ჩვენი წარმომადგენელი შეკითხებია ინგლისის წარმომადგენელს, იძლევა თუ არა მოკავშირეთა სარდლობა იმის გარანტიას, რომ სომხეთი აღარ გაიმეორებს მეხანათურ თავდასხმას? ამის საპასუხოთ პოლკოვნიკ სტუარტს კატეგორიულად განუცხადებია, რომ მოკავშირე სახელმწიფოები თავიანთ საწინააღმდეგო აქტათ ჩასთვლიან სომხეთის თავდასხმას საქართველოზე.

ამგვარად ნიადაგი გამოეცალა არარატის რესპუბლიკის აგრესიულ მიზნებსა და დაშნაკელების ინტრიგებს. ევროპიელ სახელმწიფოების წარმომადგენლები დარწმუნდნენ, რომ საქართველოს რესპუბლიკა ღირსია არა მარტო ცნობისა ინგლის-საფრანგეთის მიერ, არამედ მათი ზნეობრივი კავშირისაც. თავის თავად ცხადია, რომ თვით საქართველოს არავითარი აგრესიული მიზნები არ აქვს არარატის რესპუბლიკის წინააღმდეგ. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ სომხეთის დაშლა და დანაწილება არ შეეფერება საქართველოს ინტერესს. ჩვენ გვერჩივნია, რომ ჩვენი ახალციხისა და ჩვენი ოლთის—არტაანის მეზობლად იყოს ქრისტიანული სომხეთი, ვიდრე ოსმალეთი ან სხვა რომელიმე მაჰმადიანი სახელმწიფო.

მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვითმენთ, რომ არარატის რესპუბლიკა ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაერიოს. კიდევ მეტი: ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ საქართველოს ტერიტორია პანსომხური პროპაგანდის ასპარეზად გადაიქცეს. საქართველო ქართველებს ეკუთვნის. სომხის ჩარჩები და სომხის სოვდაგრები დროებითი სტუმრები არიან.

## პ რ ე ს ს ა

**დამოუკიდებელი ნაციონალისტები**

ეგრედ წოდებული დამოუკიდებელი ნაციონალისტები, რომლებიც აქამდე ულტიმატუმს ულტიმატუმზე გვიგზავნიდენ, დღეს მინორიან ტონით ლაპარაკობენ.

მათ არ მოსწონებიათ ჩვენი უარი არჩევნებში საერთო სიით გამოსვლაზე და ამის გამო მთელ მეთაურს სწერენ.

რადგანაც „სალი კლდის" პუბლიცისტები დარწმუნებულნი არიან, რომ პარტიულ მასსასთან სწორედ მათა აქვთ კავშირი და მასსა მათ გაჰყვება არჩევნებში, ისინიც ამ მასსას ელაპარაკებიან.

„თებერვლის არჩევნები განსჯის, თუ რას იტყვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მასსა პროვინციაში და თუ ვის მიანდობს იგი საქართველოს ეროვნული პოლიტიკის წარმოებას დამფუძნებელ კრებაში".

ასე სწერს „სალი კლდე".

რასაკვირველია „სალი კლდეს" ეჭვიც კი არა აქვს, რომ ეროვნული დემოკრატია მმ. ვეშაპელს და რ. გაბაშვილს გაგზავნის დამფუძნებელ კრებაში.

იმ არარაობაში, რომელსაც წარმოადგენს „სალი კლდე", იმედიც კარგი საქონელია.

მაგრამ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ერთი ადგილი წერილისა, რომელიც ჩვენც გვიხერგავს ერთს იმედს გულში. „სალი კლდე" გვგონია მიმხვდა, რომ, არამც თუ საერთო სია, ჩვენ შორის საერთო საზოგადოთ არაფერია და ამიტომ სწერს:

„ჩვენი პარტია დღეიდან სავსებით უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც ცალკე სხეული საქართველოს ყოველს კუთხეში, საკუთარის ორგანიზაციით და საკუთარის სხეულით".

მადლობა ღმერთს!

გაბა, ჩვენც სულ იმის რჩევაში არ ვიყავით, რომ „სალი კლდის" ჯგუფს ჩამოყალიბება უნდა და არა მარტო ჩამოყალიბება, არამედ „საკუთარი სახელიც".

ჩვენ ძალიან მოხარულნი ვიქნებით ამის, რადგანაც ამით ბოლო მოეღება იმ წუწუნს, იმ აბეზარ ტლაპს და ხელების პოტინს, რომელსაც იჩენდა „სალი კლდის" ჯგუფი ეროვნულ დემოკრატიული პარტიისადმი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია განწმენდის გზაზე დგას; „სალი კლდე" პირველი ნაჭეხი იყო, რომელიც ჩამოეცალა პარტიას და მისი ისევ ხელოვნურად მიკოწიწება პარტიისადმი შეუძლებელია.

ჩვენ უსურვებდით „სალი კლდეს" ვიდრე საკუთარ ამომრჩეველებს იშოვნიდეს, ჯერ საკუთარი სახელი გაშოვნოს.

## საქართველო-სომხეთის კონფერენცია

10 იანვარს დაიწყო საქართველო-სომხეთის კონფერენციის მუშაობა იმ კითხვების გამოსარკვევათ, რომლებიც დაკავშირებული იყო 1918 წლის 31 ქრისტეშ. ღამის 12 საათზე, 1919 წ. 1 იანვრის დაწყებისას ჩამოვარდნილ დროებით ზავის გარშემო.

კონფერენციის შემადგენლობა: ინგლისისა და საფრანგეთის მხრივ—პოლკ. სტუარტი (თავმჯდ.), კონსული დიუროფა, კაპ. დუაბარი და სხ.

საქართველოს მხრივ—ე. გეგეჭკორი, და კ. საბახტარიშვილი. ხ. რაშიშვილი და გენ. გედევანიშვილი.

სომხეთიდან—მ. მ. არუთინიანი, გენ. ყორღანოვი, ს. ტ. მამიკონიანი ა. ხაჩატრიანი, ტერ-ხაჩატრიანი და ა. ხონთქარიანი.

კონფერენციას 4 სხდომა ჰქონდა. ყველა ძირითად საკითხების გარშემო, რომლებიც კი კონფერენციას წინ ედგა, საქართველოს და სომხეთის შეხედულებანი მეტად განსხვავებული აღმოჩნდა ერთი-ერთმანეთისაგან და ყველა ამ უთანხმოებებში გადამწყვეტ ხმათ [illegible] იდგა მოკავშირეთა წარმომადგ[illegible]ების ხმა, როგორც ნეიტრალური მხარისა.

პირველი დავა შეეხებოდა იმ ხაზს, რომელზედაც უნდა გაჩერდნენ საქართველოს რესპუბლიკის ჯარები.

საქართველოს დელეგაციამ კონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს ჯარები უნდა დარჩნენ იმ პოზიციებზე, რომლებიც მათ ეჭირათ სამხედრო მოქმედების შეჩერების მომენტში, ე. ი. 31 ქრისტეშ. ღამის 12 საათამდე. სომხეთის დელეგაცია მოითხოვდა, რომ საქართველოს ჯარებს დაეხიათ იმ ხაზამდე, რომელზედაც ისინი იყვნენ „დროებითი ზავის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მომენტში".

ორივე შეხედულობის გამორკვევის შემდეგ, მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი სრულიად ეთანხმებიან საქართველოს დელეგაციის შეხედულებას, ამისდა მიხედვით მოხდა დადგენილება კონფერენციისა. ამ დადგენილების წინააღმდეგ სომხის დელეგატებმა წერილობითი პროტესტი შეიტანეს.

# უკანასკნელი ცნობები.

**ინგლისმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო.**

—

**ბერლინში სოციალისტური რესპუბლიკა გამოაცხადეს. კომუნისტებმა ჟ. ქ-თა საბჭოებში დეპ. შეცვალეს და ებერტის მთავრობას გადადგომა მოსთხოვეს.**

—

**12 იანვრიდან ბერლინი სრულიად განწმენდილია. სპარტაკელების დამარცხების შემდეგ ბერლინში სიწყნარეა.**

—

**რადეკმა ბერლინი დასტოვა. ლიბკნეხტი და იოგორნი უკვალოდ გაქრნენ.**

—

**დროებით ზავის გერმანული კომისია ტრევში გაემგზავრა მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად.**

—

**ნიუ-იორკში გაფიცვებია. ქვანახშირის შემოზიდვა საგრძნობლად შემცირდა. გაფიცვებია ამერიკის სხვა ქალაქებსა და ნავთსადგურებშიც.**

—

**რუზსკის და კარტოვეის ოლქებში დააპატიმრეს მრავალი პოლიტიკური აგიტატორი. მათ შორის რეიხსტაგის დეპ. ხოჩენსკი.**

—

**ბოლონიეთის მომქმედ ლაშქრის მთავარსარდლად გენ. დოვბორ მუშნიცკი დაინიშნა.**

---

შემდეგი კითხვა, რომელმაც დიდი უთანხმოება გამოიწვია კონფერენციაში, იყო კითხვა ადმინისტრაციის შესახებ ნეიტრალურ ზონაში.

ამ კითხვის შესახებ სომხების დელეგატებმა წარადგინეს გეგმა 3 პირისაგან კომისარიატის მოწყობისა: ერთი იქნებოდა საქართველოს მთავრობიდან, მეორე სომხეთის მთავრობიდან და მესამე ადგილობრივი მცხოვრებლებიდან, ამასთანავე ეს კოლეგია იქნებოდა მოკავშირეთა სარდლობის კონტროლის ქვეშ.

საქართველოს დელეგაციამ წამოაყენა სხვანაირი შემადგენლობა კომისარიატისა: თითო წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთიდან და თითო წარმომადგენელი ყველა იმ ერებისა, რომლებიც კი მოსახლეობენ ნეიტრალ ზონაში.

მოლაპარაკების მსვლელობაში საქართველოს დელეგაციამ წამოაყენა უფრო მარტივი სქემა კომისარიატის ორგანიზაციისა: თითო წარმომადგენლები საქართველოსა და სომხეთიდან იმ პირობით, რომ ყველა კითხვები, რომლებიც კი უთანხმოებას გამოიწვევდა ამ წარმომადგენლებში გადასცემოდა მოკავშირეთა სარდლობას გადასაწყვეტად.

ეს წინადადება მიღებულ იქმნა კონფერენციის მიერ.

მესამე კითხვა, რომელიც კონფერენციამ გადასჭრა, ეხებოდა ნეიტრალურ ზონაში მოთავსებულ რკინის გზას. სომხეთის დელეგაციამ წამოაყენა, რომ აღდგენილიყო ნეიტრალურ ზონაში რკინის გზის მიმოსვლა იმ შერეული კომისიის ხელმძღვანელობით, რომელიც შესდგებოდა იმავე პრინციპის მიხედვით, რომელი პრინციპითაც იქნებოდა შედგენილი ადმინისტრაცია ნეიტრალურ ზონაში.

საქართველოს დელეგაციამ შეიტანა წინადადება ყოველგვარი სარკინისგზო საქმე ნეიტრალურ ზონაში გადასცემოდა საქართველოს რესპუბლიკის გზათა სამინისტროს.

ამ წინადადებაზე სომხეთის დელეგაციამ საწინააღმდეგო დებულებანი წამოაყენა, რომელიც იმას ამბობდა, რომ აქით ისპობა ნეიტრალურობა, სა, დაო ზავის პრინციპი და წინასწარ სწყდება კითხვა მისი მომავალი ბედის შესახებ.

მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, გამოდიოდენ რა მოსაზრებიდან საქმიანი ხასიათისა და ესწრაფვებოდნენ-რა რკინის გზის მოძრაობის საუკეთესოდ უზრუნველსაყოფად, გადაჭრით მოითხოვეს საქართველოს დელეგატების წინადადების უსიტყვოდ მიღება.

ამ აზრით მოხდა კონფერენციის დადგენილება და ამ დადგენილებების წინააღმდეგაც სომხეთის დელეგატებმა წერილობითი პროტესტი განაცხადეს.

კონფერენციის თავმჯდომარემ პოლკოვნიკ სტუარტმა, სთხოვა საქართველოს დელეგაციას მიიღონ ზომები, რომ კონფერენციის ეს დადგენილება ცხოვრებაში რაც შეიძლება ჩქარა იყვეს გატარებული.

სომხეთის დელეგაცია ამის შემდეგ ცდილობდა გაეხადა კონფერენციის მსჯელობის საგნათ კითხვა ახალქალაქის მაზრაში ადმინისტრაციის მოწყობის შესახებ. ამ წინადადების გამო საქართველოს დელეგაციამ განაცხადა პროტესტი.

საქართველოს დელეგატებმა განაცხადეს, რომ კითხვები, რომლებიც ახალქალაქის მაზრას შეეხებიან, ეკუთვნიან საქართველოს შინაური ცხოვრების კითხვათა რიგს და რომ ამ კითხვებთან არ შეიძლება რამე კავშირი ჰქონდეთ არც სომხეთის მთავრობას და არც კონფერენციას. კერძოდ, საქართველოს დელეგატებმა აღნიშნეს, რომ ახალქალაქის მაზრაში შერეული საკონტროლო კომისიების მოწყობა გატარებული იქნება საქართველოს მთავრობის მიერ შინაური მმართველობის წესრიგისდა მიხედვით.

მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლები დაეთანხმნენ საქართველოს დელეგაციის მოსაზრებებს და კითხვა ახალქალაქის მაზრის შესახებ მოხსნილ იქნა.

სამხედრო ტყვეების კითხვის განხილვის დროს, სომხეთის დელეგაციამ შეიტანა წინადადება, რომ განთავისუფლებულ იქნენ ის სომეხი პირები, რომლებიც დაჭერილ იქნენ საქართველოში სამხედრო მოქმედების დაწყებისთანავე, რომელთა წინააღმდეგ ჯერ არ წაყენებიათ ბრალდებანი სისხლის სამართლის დანაშაულობაში.

საქართველოს დელეგატებმა განაცხადეს, რომ ამგვარი წინადადების მიღება კონფერენციის მიერ იქნებოდა საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევა და, რომ ეს კითხვა კონფერენციის მსჯელობის საგნათ არ ეხება. ეს მოსაზრებანი მიღებულ იქნენ მოკავშირეთა წარმომადგენლების მიერ, რომელთაც განაცხადეს, რომ კითხვა საქართველოში დაჭერილ სომხების განთავისუფლების შესახებ უნდა მოხსნილ იქნეს კონფერენციის დღის წესრიგიდგან.

ციხიონების განსაზღვრულ რიცხვის დამტკიცების შესახებ მოხდა შეთანხმება.

ამ კითხვის გარჩევის დროს საქართველოს წარმომადგენელი შეეკითხა პოლკ. სტუარტს: იძლევა თუ არა მოკავშირეთა სარდლობა საქართველოში იმის გარანტიას, რომ სომხეთის მხრივ ამგვარი თავდასხმა აღარ განმეორდეს? ამაზე პოლკ. სტუარტმა შემდეგი პასუხი მისცა: მოკავშირეთა სარდლობა აძლევს საქართველოს რესპუბლიკას მოთხოვნილ გარანტიებს, რადგანაც ახალს თავდასხმას მასზე სომხეთის მიერ ის ჩასთვლის, როგორც casus belli-ს არა სომხეთსა და საქართველოს შორის, არამედ სომხეთსა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის.

აქ მოხსენებულით ამოიწურა სამხედრო პოლიტიკური კითხვები, რომლებიც კონფერენციამ გადასჭრა.

წესრიგში სდგას ბონების კითხვის განხილვა, რომელიც სომხეთის დელეგაციის ინიციატივით იყო წამოყენებული. საქართველოს დელეგაციის მოსაზრების წინააღმდეგ, მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა სცნეს ეს კითხვა კონფერენციაზე განსახილველად. საქართველოს დელეგაციამ წინადადება მისცა პოლკ. სტუარტს გაეკეთოს საქართველოს მთავრობას წერილობითი განცხადება ამის შესახებ. ეს წინადადება პოლკ. სტუარტის მიერ მიღებულ იქნა.

(ერ).

# თბილისის მილიციის რევიზია

**მთავრობის თავმჯდომარის განცხადება.**

ვაცხადებ ყველას საყურადღებოდ, რომ 14 ამა იანვარს, მე დავაარსე კომისია ქალაქ თბილისის მილიციის საქმეების სარევიზიოდ და მილიციის მოხელეთა ბოროტ-მოქმედების გამოსაძიებლად. კომისიაში შედიან თბილისის სასამართლო პალატისა და საოლქო სასამართლოს ბრალმდებელნი, მათი ამხანაგები, მთავრობის იურისკონსულტი, საქართველოს პარლამენტის წევრნი და სხვები.

ბოროტების ძირშივე აღმოსაფხვრელად და 'დამნაშავეთა დასასჯელად მოვუწოდებ ყველას, ვინც დაზარალებულა მილიციის მოხელეთა უკანონო მოქმედებით ან ვისაც რაიმე ცნობები აქვს იმათ მიერ ჩადენილ ბოროტების შესახებ, განუცხადონ ამის შესახებ ზემო აღნიშნულ კომისიას.

მთავრობის თავმჯდ. **ნ. ჟორდანია.**

14 იანვარი 1919 წ.

ქ. თბილისი.

# ინგლისი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ

15 იანვარს ინგლისის მისიამ აცნობა საქარ. საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან დეპეშა მოუვიდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის დელეგატებს ევროპაში გაუშვებენ, რომ მათი მოწყობა და დაბინავება პარიზში საფრანგეთის მთავრობას მიენდობა და რომ მათი საერთაშორისო კონგრესზე დაშვების საკითხი მოკავშირეთა მიერ გადაწყდება. ინგლისი თავის მხრივ სიმპატიით უყურებს დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის დაარსებას და მოკავშირეთა მიერ მის ცნობაში სავსებით მხარს დაუჭერს.

# სავალდებულო დადგენილება

ქ. თბილისის გენერალ-გუბერნატორის თანხმად გამოცემული წესდებისა იმ ადგილებზე, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები.

1. ნაცვლად გამოცემულ სავალდებულო დადგენილებისა წარსულ წლის 18 ქრისტეშობისთვიდან ჩემს მიერ გაგრძელებულია ქუჩებში მოძრაობის ვადა ღამის 12 საათამდე, რის შემდეგ დილის 5 ნახ. საათამდე ნებადაურთველად მოძრაობა აეკრძალულია.

2. ყველა სავაჭრო და სალხინო დაწესებულებანი უნდა დაიკეტოს ღამის 11 საათზე.

დადგენილება ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამ სავალდებულო დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან ადმინისტრატიულ წესით: წელიწად-ნახევრის ციხით ან ათი-ათასი მანეთის ჯარიმით.

გენ.-გუბერ. **შ. მაღლაკელიძე.**

15 იანვარი 1919 წ.

# ქრონიკა

**დაჯილდოვება.** მტერთან მამაცად ბრძოლისათვის დააჯილდოვეს ფეიერვერის 1 სამთო ბატარეის ნიკ. იოსელიანი მეორე ხარისხის წმ. გიორგის ჯვრით; ამავე ბატარეის ჯარისკაცები: დავით ბგლაძე, შალვა მახარაძე, დიმ. აძირეჯიბი, ზურაბ ელდიშვა, კონსტ. მღერაძე და შ. ერისთავი —მეოთხე ხარისხის წმიდა გიორგის ჯვრით.

**სწავლის შეწყვეტა.** სახაზის გავრცელების გამო მთავრობის კომერციულ სასწავლებელში დროებით სწავლა შეაჩერეს.

**საჩუქარი მოსამსახურეთათვის.** პარლამენტის საფინანსო კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი ფინანსთა მინისტრისა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების საჩუქრების მოსხოვბის შესახებ.

**რკინის გზის მოსამსახურეთა დაკმაყოფილება.** მთავრობამ გზათა მინისტრს რკინის გზის მოსამსახურეთა 1918 წ. გიორგობისთვის და ქრისტეშობისთვის ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად 5,743,533 მ. კრედიტი გაუხსნა.

**საარქეოგრაფიო აქტები.** ყოფილ საცენზურო კომიტეტის გაუქმების გამო აღერბეიჯანის რესპუბლიკის რწმუნებულს სთხოვს საგარეო საქმეთა მინისტრს რომ მთელი სერია აქტებისა საარქეოგრაფიო კომისიისა (9 ტომი) დაეთმოს აღერბეიჯანის მთავრობას. ვინაიდან მას არც ერთი ტომი ამ აქტებისა არ მოეპოვება.

**ქურდობა.** 11 იანვარს ღამით ქალაქთა კავშირის საწყობიდან (დიდი მთავრის ქუჩა № 72( 3,8 მ მან. ძაფი მოიპარეს.

**გვამი** 15 იანვარს ღამით მეთერთმეტე კომისარიატის უბანში მოკლულ მიკირტიჩ ხაჩატოვის გვამი იპოვეს.

**გაძარცვის განზრახვა** 12 იანვარს საღამოს 7 საათზე ს. მურუზოვის სახლში შევიდა რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და წარუდგინეს ორდერი ჩხრეკის მოხდენისა. მურუზოვმა შეამჩნია რომ ორდერი ფალშივი იყო და ნება არ მისცა გაჩხრეკისა. უკმაყოფილების დროს თოფით დასჭრეს მურაზოვი და გაიქცნენ.

**ამიერ-კავკასიის ერთა დელეგაციის ხამშვიდობო კონფერენციაზე.** საერთაშორისო კონფერენციაზე ვაგზავნილი საქართველოსა, სომხეთისა და აღერბეიჯანის დელეგაციები ჯერ ისევ ბათუმში იმყოფებიან. უცდიან მთიელთა მთავრობის დელეგაციას. უკანასკნელი უკვე ჩამოვიდა თბილისში. დელეგაციას მეთაურობს. სახალხო საბჭოს თავმჯდომარე აბდულჩერმოევი. წევრებად გასან ხაბარაგოვი. გზათა მინისტრი იბრაგიმ გაიდაროვი და საგარეო საქმეთა მინისტრი გაიდარ გამათოვი. დელეგაცია დღეს თუ ხვალ წავა ბათუმში.

**ბერძენთა ყრილობა.** 14 იანვარს „ქართულ კლუბის“ დარბაზში ამიერ კავკასიაში მცხოვრებ ბერძენთა წარმომადგენელთა ყრილობა გაიხსნა. ყრილობაზე გამოცხადდა 46 დელეგატი.

**გაეროვნება რკინის გზაზედ.** მიუხედავად იმისა რომ 6 იანვრიდან, სამინისტოს ბრძანებით საქართველოს რკინის გზაზე სულ გაეროვნება უნდა მომხდარიყო, ჯერ კიდევ ქართულ ენის უცოდინარობის გამო გაეროვნება ველა ნაწილებში ვერ მოხერხდა.

**ქართულ ენის კურსები.** საქართველოს სახაზინო რკინის ადმინისტრაციისა და გამგეობის საერთო სხდომაზე დაადგინეს გახსნან ქართული ენის 6 თვიანი კურსები, სადაც რაიონის გზის ქართულის არ მცოდნე მოსამსახურეთ მოამზადებენ.

**სომეხ ტყვეების განთავისუფლება.** თანახმად სომხეთ-საქართველოს შუა დადებულ დროებით ზავის ხელშეკრულობით ქუთაისში მყოფი სომეხთა სამხედრო ტყვეების ნაწილი ჩამოვიდა.

**ბარათების დარიგება.** ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ხვალიდან დაიწყებს სახლების კომიტეტებისთვის შაქრის ბარათების დარიგებას. იანვრის და თებერვლის ულუფა მოქალაქეთ თებერვალში მიეცემათ. ქალაქი 6 რაიონად განაწილდა და ყველა სახლის კომიტეტებმა ცალკე სურსათის მისაღებად უნდა მიმართოს.

**დაპატიმრება ახალწლის ხროლისთვის.** ახალწლიწად დღეს იმ ღამით სროლისთვის დააპატიმრეს 25 კაცამდე საუბედუროდ უმეტესი მათგანი თვით მილიციონერები და სახალხო გვარდიელები აღმოჩნდნენ.

**სომეხთა ეროვნული საბჭო.** სომეხთა ეროვნულ საბჭომ თბილისში კვლავ დაიწყო მოქმედება. იგი დროებით მოთავსებულია სასტუმრო „ვიქტორია“-ში.

**დიპლომატიური წარმომადგენელი ყუბანის ოლქში..** საქართველოს მთავრობამ დაადგინა ყუბანის ოლქში ქ. ეკატერინოდარში თავისი დიპლომატიური წარმომადგენელი იყოლიოს.

**არჩევნები დამფ. კრების. თბილისის მაზრაში.** თბილისის საერობო თვითმართველობამ. შეადგინა სამაზრო კომისია, დამფ. კრების არჩევნებისათვის. კომისიაში შედიან: თავმჯდ. ონიაშვილი მისი ამხანაგი ავალიშვილი წევრები: ასათიანი, შოშიტაშვილი, ჰაბრიშვილი, ბერძნიშვილი, ჯავახიშვილი. ერთი ადგილიც „ეგუმეტის“ წარმომადგენელს დაუტოვეს.

**მაზრის რაიონებად დაყოფა.** მაზრა დაყოფილია 7 რაიონად, ყოველ მათგანში ინსტრუქტორებია დაგზავნილი.

**ამრჩეველთა სიები.** ამრჩეველთა სიების შესწორება გრძელდება, რის შემდეგაც სიები 20 იანვრისთვის გამოქვეყნდება.

**საარჩევნო უბნები.** მაზრა ინსტრუქციისდა თანახმად 60 საარჩევნო უბნადაა დაყოფილი, უბანს განაგებს. კომისია 5-კაცისაგან შემდგარი.

**ამიერ კავკასიის ბანკში მეორე** გამოცემის ხელის მოწერა კიდევ დამთავრდა აქ გვარად ბანკის ძირითადი თანხა ეხლა ექვსი მილიონია. პირველ საანგარიშო 1918 წლის დივიდენდი უდრის ძირითადი თანხის ათ პროცენტს ანუ ოცდა ხუთ მანეთს თითო აქციაზე.

**მიწადმოქმედების სამინისტროში** დამტკიცებულ იქმნა საწონ-საზომ დარბაზის ახალი შტატები.

## პარტიული ცხოვრება.

მთავარი კომიტეტის კრება. დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება. დასწრება სავალდებულოა.

# პროვინცია

**დახმარება ახალციხის მაზ. გლეხებს**

მთავრობის საგანგებო რწმუნებულმა ახალციხეში რუხაძემ მთავრობას მოხსენებით წარუდგა და სთხოვა ახალციხის გლეხობას მიეცეთ ერთი თვის ვადით 2,500 ფუთი ნავთი, 1,500 ფ. შაქარი, 1,500 ფ. მარილი, 1,000 ფ. საპონი და წუმწუმა.

**ახალციხის ქართველი კათოლიკენი**

შინაგან საქმეთა მინისტრს ახალციხის ქართველ კათოლიკეთა რევოლუციონურ კომიტეტის თავმჯდომარესაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც სთხოვენ გაანთავისუფლონ ისინი სომხურ ტიბიკონისაგან აღნიშნავენ რომ სომხის ღვდლები აგიტაციას ეწევიან საქართველოს წინააღმდეგ.

**სიღნაღის მაზრის ს. კაკაბეთის სომხები.**

ს. კაკაბეთის სომხების წარმომადგენელი წარუდგა შინაგან საქმეთა მინისტრს მოხსენებით, რომელშიც აღნიშნა, რომ ამ სოფლის მცხოვრებნი სომხები დიდის აღშფოთებით შეხვდნენ არარატის რესპუბლიკის მიერ ომის გამოცხადებას. ისინი ქართველებთან ერთად იცავდენ საქართველოს და მომავალშიაც მზად არიან საქართველოს თავისუფლება დაიცვან.

# ავაზაკობა კახეთში

4 იანვარს, ბინდისას-არაშენდიდან ს. ფხოველში მიმავალ მადნის მილიციის უფროსს ლევ. ანდრონიკაშვილს დაუხვდნენ ყაჩაღები და მოჰკლეს.

იმავე დღეს გაძარცვეს გურჯაანში სანოვაგეზე გაგზავნილი ჩინელი, წაართვეს 80 თუმანი. გაძარცვეს სხვა მგზავრნიც. სოფ. ზიარში ფხოველის მახლობლად იმ საღამოთი ყაჩაღები დაეცნენ ადგილობრივ გლეხს, ატეხილ სროლის ხმაზე სოფლები მიეშველნენ, ყაჩაღები გაიქცნენ. თითქმის ყოველდღიური იყო ეს ამბები. შესწყდა მხოლოდ ამ ორი კვირის განმავლობაში,მობილიზაციის დროს. ეხლა ისევ დაიწყო. ამ ორი თვის წინეთ იქნა გაძარცული ფხოველის მადნის გამგე. მიუხედავათ ამისა, რომ დაუყონებლივ შევატყობინე სოფლის რაიონის და მაზრის კომისარებს არაფერი ღონისძიება არ იყო მიღებული იმათ დასაჭერად და მის შემდეგ კიდევ დიდხანს თარეშობდნენ. ამ მდგომარეობაში მუშაობა ყოვლად შეუძლებელია. მუშები ღელავენ. სამუშაოზე ხელს იღებენ. გთხოვთ გვიშუამდგომლოთ შინაგან საქმეთა მინისტრთან. შუამდგომლობა ანდრონიკაშვილის მკვლელების აღმოსაჩენად და საჭირო ბრძანებას მისაცემად.

# ბათუმი

გამოვიდა უკვე გაზეთ „სამუსლმანო საქართველოს“ 3 ნომერი ხასან ხიმშიაშვილის რედაქტორობით. გაზეთის ნახევარი ოსმალურ ენაზეა. სამშვიდობო კონფერენციაზე მიმავალი ჩვენი დელეგაცია ჯერ ვერ წასულა გზების უქონლობის გამო. საოლქო საბჭო მასლოვის მეთაურობით განაგრძობს თავის ლვარძლიან პოლიტიკას. სიყალბესაც არ ერიდება. ერთი თავისი სავალდებულო დადგენილება თვითმართველობის სახელით გამოსცა. თვითმართველობის პროტესტმა არ გასჭრა. ეტყობა ზურგი გამაგრებული აქვს. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო თავის შემადგენლობით ინტერნაციონალურია, მაინც აშკარა რუსულ შავრაზმულ პოლიტიკას აწარმოებს. ცდილობს გახსნილ ყოფილ სახელმწიფო დაწესებულებაში რუსები მიიღოს ოლქის საპოლიციო უბნებში გარდა ერთისა უცხოელებია დანიშნული, მაგრამ ესენი წასვლას ვერ ბედავენ. ამავე საბჭოს მეოხებით არც ქალაქის თვითმართველობას უყურებენ კარგის თვალით.

# ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭოს სხდომა

ახალციხის მაზრის მიწის მუშათა საბჭოს 15 იანვრის სხდომაზე მოისმინა რა მოხსენებები საბჭოს წევრების რაოდენობიდან ხალხში ბევრი პროვოკატორული ძალების მუშაობის შესახებ, დაადგინა: მიწის მუშათა საბჭო იზიარებს რა გლეხთა ყრილობის დადგენილებას დამფუძნებელი კრების და ერობის არჩევნებში მხურვალე მონაწილეობის მიღების შესახებ. სასტიკად გმობს მოსყიდულ პროვოკატორების მოქმედებას და მოუწოდებს მაზრის გლეხებს ფხიზლათ იყვენ, ნუ აყვებიან პროვოკატორებს და მთელი თავისი ძალ-ღონით მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა: საბჭო აღიარებს ამავე დროს საჭიროდ მიმაჩნია მთავრობამ მკაცრი ზომები მიიღოს უპასუხისმგებლო პირების წინააღმდეგ რომელნიც სარგებლობენ რა ხალხის სიბნელით გვიმზადებენ ახალ მონობის უღელს. ახალციხის მაზრის მუშათა საბჭოს [illegible].

# დაშნაკური ინფორმაცია

რუსულ გაზეთ „ოდესკ. ნოვოსტში“ მოთავსებულია შემდეგი ცნობა:

**სტამბოლი.** 7 ქრისტეშობისთვე. აზრუმიდან გვატყობინებენ, რომ სომხებსა და ქართველებს შორის პროვინცია ყალაგის დაპყრობის გამო შეტაკება მოხდა. სომხურ ცნობებით გამარჯვება სომხებს დარჩათ და ქართველებმა ამ ბრძოლაში დაჰკარგეს 6000 კაცამდე მოკლული.

საყურადღებოა, რომ სტამბოლელი კორესპონდენტი აცნობს ოდესის საზოგადოებას სომხების ქართველებზე გამარჯვებას ერთი კვირის წინ ვიდრე დაიწყებოდა სომეხ-ქართველთა ომი.

(მ.)

# ბონების საკითხი

არა ოფიციალური ცნობის მიხედვით, გუშინწინდელ კრებაზე კონფერენციას ბონების საკითხი განუხილავს. როგორც მკითხველმა იცის, საქართველოს მთავრობამ დააკავა 14 მილიონამდე მანეთი, რომელიც არარატის რესპუბლიკისთვის იყო დამზადებული. კონფერენციაზე ჩვენს წარმომადგენლებს წამოუყენებიათ პრინციპი დამნაშავის პასუხისმგებლობისა და ამ თანხის დაბრუნებაზე უარი უთქვამთ. სომხების წარმომადგენლები, რასაკვირველია, თავიანთ თავს არ სთვლიდნენ დამნაშავებათ ომის დაწყებაში და დაკავებულ ფულს მოითხოვდნენ. მოკავშირეების წარმომადგენლებს ამ საკითხშიც ქართველი დელეგატებისთვის დაუჭერიათ მხარი. ამგვარად, ხუთშაბათის სხდომაზეც ჩვენ გვქონდა მატერიალური და ზნებრივი გამარჯვება.

# სოციალ-დემოკრატების კანდიდატები დამფუძნებელ კრებისთვის.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ გამოაქვეყნა სია თავის კანდიდატებისა დამფუძნებელ კრებაში.

1. ჟორდანია ნ. ნ., 2. ჯიბლაძე ს. ვ., 3. ჩხეიძე ნ. ს., 4. წერეთელი ი. გ., რამიშვილი ნ. ვ., 6. გეგეჭკორი ე. პ., 7. ხომერიკი ნ. ვ., 8. რამიშვილი ი. ი., 9. ჩხენკელი ა. ი., 10. არსენიძე რ. მ., 11. ლომთათიძე ი. ს., 12. გიორგაძე გ. ტ., 13. მახარაძე გ. ფ., 14. ელიავა ნ. წ. 15. ჩხიკვიშვილი ბ. გ. 16. შერვაშიძე ვ. ა. 17. ჯუღელი ვ. ა., 18. ხინიკი ქ. ი., 19. ვართლომიძე მ. ქ. 20. იხილეულიშვილი ვ. გ., 21. ანდრონიკაშვილი კ. ძ., 22. კავილიოვი მ. ა., 23. ონიაშვილი დ. ე., 24. ხოჭოლავა ნ. მ., 25. დგებუაძე ა. ი., 26. ფორჩიევი ა. ი., 27. თევზაია ვ. ვ., 28. გვარჯალაძე ქ. ე., 29. ახაიძე გ. ა., 30. ერაძე გ. პ., 31. ლორთქიფანიძე ი. ვ. 32. სალუქვაძე ი. ბ., 33. გელეიშვილი პ. პ., 34. ჯაფარიძე ს. დ., 35. ტერ-გიორგსოვ-ჩხეიძე ე. 36. სულაქველიძე ი. მ., 27. თოდუაიძე დ. ა., 38., ჯიბლაძე ვ. გ., 39. ძიმგდოვი, ჰუსეინ გულა ძაძელ ოღლი. 40. რუსია მ. ი., 41. აბჯანდაძე გ., 42. შერვაშიძე ქ. გ., 43. ბაბილაძე ი. ქ., 44. ჩიბლაძე რ. ა., 45. საყვარელიძე პ. დ., 46. ცაბაძე ვ. ს., 47. ნათაძე ლ. ი., 48. გაგლოევი გ. ა., 49. ურატაძე გ. ი., 50. ჯაფარიძე ქ. ი., 51. ციხელაძე ნ. ქ., 52. ძველაია ვ. პ. 53. გურული ნ. დ., 54. ჩიკავა ა. ქ., 55. ყიფიანი ი. დ., 56. ბოკერია დ., 57. ბეგლარიძე გ., 58. მეგრელიშვილი ი. პ., 59. გიხაშვილი დ. მ., 60. ტორთოშელიძე მ. ე., 61. სურგულაძე ს. ე.. 62. გურგენიძე 63. ნიჟაია ვ., 64. აუსტროვი მ., 65. შარაშენიძე ა. ქ., 66. კლდიაშვილი ნ. გ., 67. სადაგიშვილი გ. ბ., 68. ფილიპევი კ. 69. კანდელაკი ქ., 70. ბაღრიძე ქ., 71. მარუშიძე ქ., 72. სხირტლაძე ი.. 73. კობაიძიშვილი ი., 74. ჭავჭავაძე ი., 75. ჯაბირიშვილი ა. 76. ცინცაძე ვ. 77. ჩხაიძე დ. 78. ბოლქვაძე ვ. 79. ცისკარიშვილი გ. დ., 70. თევზაძე ს., 81. ცინცაძე გ. დ., 82. ფირცხალაიშვილი ი., 83. კიკვიძე თ., 84. გაციაშვილი ნ., 85. ტატიშვილი ი., 86. კვარაცხელია ი., 87. წულაია ვ., 88. იმნაიშვილი ნ. ვ., 89. ემუხვარი ა. ქ., 90. გომართელი ი., 91. ტაბუკაშვილი, 92. ტიგურაძე, 93. გვარამაძე ტ., 94. რუხაძე ლ. 95. აბუკუდელი ს., 96. დადიძე ე., 97. ხახანოვი დ., 98. წულაძე 99. ბერიშვილი პ., 100. ბაკურაძე გ. ს.

# ჩვენი ეკონომიურ აღორძინებისათვის

ერის პოლიტიკურად განთავისუფლებას თან ახლავს ერის ეკონომიურად აღორძინება და გაძლიერება. როგორც ასეთი, ჩვენ უნდა ვეცადოთ შევქმნათ ძლიერი ეკონომიური პოლიტიკა, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მრეწველობის განვითარება. ჩვენში მრეწველობა განუვითარებელია, სუსტია და ამისათვისაა რომ ჩვენი ხორჩი სახელმწიფო უძლურია ეკონომიურ-ფინანსიური მხრივ. მომავალშიც რომ ავიშოროთ ეკონომიურ-ფინანსიური სისუსტე, საჭიროდ მიმაჩნია ჩვენი მრეწველობის მჭიდროდ შეკავშირება და შეერთებული ძალით მუშაობა. მჭიდრო კავშირი, შეთანხმებული მუშაობა, აი ჩვენი მრეწველობის დევიზი, რომელმაც უნდა აამოძრაოს საქართველოს ეკონომიურ-ფინანსიური ძარღვი. ახალი კაპიტალი, რომელიც იქნება შედეგი ჩვენი ვაჭარ-მრეწველების შეერთებული ძალის ნაყოფი, შექმნის მომავალში მოწამე იმ დიად მოვლენისა, რომელსაც ჩვენ დღეს ვხედავთ ევროპაში. უპირველეს ყოვლისა, ეკონომიურ ძლიერებისათვის საჭიროდ მიმაჩნია სამრეწველო ბანკის დაარსება. ასეთი ბანკის დაარსება და ინიციატივა უნდა იკისროს საურთიერთო ნდობის ბანკებმა. ვინაიდგან ისინი ამ საქმეში გამოცდილნი არიან და სათანადო კაპიტალიც აქვსთ. საქართველოში არსებულ საურთიერთო ნდობის საზოგადოებებმა უნდა შეერთდენ და დაარსონ გაერთიანებული ნდობის სამრეწველო ბანკი, რომელიც შეიქნება ბანკი-სინდიკატი. ეს ბანკი შეიქნება მრეწველობის გამღვიძებელი და გამაძლიერებელი. ბანკის-სინდიკატის ინიციატივით ადვილადაც აღმოცენდება სხვა და სხვა სამრეწველო აქციონერი საზოგადოებები, რომელნიც შეეცდებიან განავითარონ მრეწველობა და ამით ჩვენც გამოვიდეთ მაგრად და მჭიდროდ შეკავშირებული საერთაშორისო ბაზარზე, რომელიც გველოდება ჩვენ მომავალში. შეიძლება ხალდოვად მიიჩნიოს ვინმემ სამრეწველო ბანკი-სინდიკატის დაარსება მცირედი კაპიტალის უქონლობის გამო, მაგრამ ეს ისეთი შეცდომა იქნება, რომლის გამოსწორება ძალიან ძვირად დაგვიჯდება მომავალში. ერთ წამსაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ საკუთარი ძალით და შრომით შექმნილი კაპიტალი უფრო ჯანსაღი, ხანგრძლივი და მომავალშიც უფრო დამტკიცებული იქნება, ვიდრე შემოსული კაპიტალი. ნუ დაგვავიწყდება, რომ თუ უცხო კაპიტალი შემოვიდა, ის ამოწუწნის ყოველივე სიმდიდრეს, რაც კი გვაბადია და მომავალში ჩავარდებით იმ ეკონომიურ კრიზისში, რომელიც შეიქნება საქართველოს დამღუპველი. როდესაც ერი საკუთარი ძალით და ენერგიით შექმნის საკუთარ კაპიტალს, ის ყოველთვის და ყოველს დროს იქნება ძლიერი. ამის მაჩვენებელია ევროპა და განსაკუთრებით გერმანია და ინგლისი. თუ როგორ და რანაირ ეკონომიურ პოლიტიკას აწარმოებდა გერმანია და ინგლისი ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისათვის, ამას ვეცდები გავარჩიო შემდეგში.

ნიკ. ახვლედიანი.

# იოსებ დავითაშვილი

(1850—1887)

სულის ოხვრით ბარათაშვილს არ ამოუვარდნია ეს მუშა-მგოსანი. ამასაც ჰქონდა თავისი „მერანი“—გარდაუვალობა. იმაზედ დიდი უბედურობა რა იქნება, იყო კაცი სოფელში, ვისთვისაც ზრუნავდე შენის ხუთივე გრძნობით, მთელის შენის სულიერ ძალით, და სოფელმა კი ვერ გიცნოს, მოყვარულად მოსული განაგდოს, გაგაძევოს როგორც ვით გამოუსადეგარი ნაფოტი, დაგანატროს ლუკმა პური, ტკბილი მშობლიური სიტყვა, ჩაგკლას შინის სადღაც უცნობად, დაუტირებლად! რაღაა ამაზედ მეტი სავალალო, როდესაც სოფლად მოსული მოციქული, თუნდაც სულ უმცირესი, მიიღებს ისე, რომ გულის ამოკვნესით გაჰკივის: „ვისგანაც შველას ველოდი, მან ამამოყვირა პირი“. ეს ცოცხალი ჭია კოდავს, როდესაც მოღვაწისაგან ვისმის ასეთი საყვედურები: „უბედო ვარ გაჭირვებული, ხანაც ვტირი“. ტირის, რადგან ხედავს, რომ ჩაუშალა ყველა მიზნები, ყოველი განზრახვა მიმართული საკეთილდღეოდ ღვიძლი საზოგადოებისა. „წუთი სოფელში ცხოვრება შემექნა გასაჭირადა: მიჯობს რომ მოვკვდე დროისად, რად დავალ ქვეყნის პირადი? არ იქნა, სადაც მინდოდა, ვერ გავიყვანე არხი, ვერ დავაბრუნე,—რაღა ვქნა,—წაღმა ცხოვრების ჩარხია!“ გაუცრუვდა მოწოდება. უკვე ეკითხება თავს: „რაღაა კაცი ცოცხალი, რომელიც ქვეყნის ბარგია, ვინც რომ მოქმედობს თავისთვის, სხვას კი არაფერს არგია?“ მაგრამ მაინც კიდევ იმედს არ ჰკარგავს, განაგრძობს მუშაობას, რადგან ჰსურს სულის ამოხდამდე ემსახუროს „კეთილ საქმეს“, „სამშობლოს დიდებას“, „სიმართლეს“, „ჩაგრულ მოძმეს მოეხმაროს“, თუნდაც თუნდაც სიმართლისთვის გაიწიროს, თუნდაც ჩაგრულთა მოხმარებისთვის დაიკიროს“.

ვიმეორებთ, იოსებ დავითაშვილი იყო ერთგვარი გამეორება ბარათაშვილისა, თუმცა მცირე ფარგლით, როგორც მასზე მცირე თავის ჩამომავლობით, მდგომარეობით, განათლების რაოდენობით.

დავითაშვილის ცხოვრების წერა ისევე ღარიბია, ვით ღარიბი იყო თვით იგიც, მაგრამ ღარიბი ქონებით და არა სულით. მისი სულიერი მხარე, პირიქით იყო ფრიად მდიდარი და ვრცელი როგორც ზღვა-ოკეანე, ლამაზი ვით ის ველები, სადა დაიბადა და აღიზარდა, უხვი ვით ხელგაშლილობა და უშურველობა ქართველ გლეხისა თუ გინდ ქართველ კაცისა. მაგრამ ნუ წარვუსწრებთ ცხოვრების დენას, დავიწყოთ სათავედამ, ორიოდე სიტყვით მოვხაზოთ მისი „კურიკულუმ ვიტე“.

იოსები დაიბადა ყმად ყმის სოლომონ დავითაშვილის ღარიბ ქოხში, ქართლის შუაგულს, ისტორიულს რუისში. წლისა არც კი იყო, რომ მისი მამა თავის შვილებით გადასახლდა მახლობელ სოფელ გარდატენს, რომ აქაც განეგრძო ყმობის მძიმე მოვალეობა, რომ აქაც ბმულიყო საყმო უღელში, ვით რომელიმე მისი შვინდა, წიქარა თუ ლაბა.

აქ, ატენისა და გარდატენის კეკლუც მიდამოსა და კოხტა ღელეებში იოსებმა იდგა ფეხიც და ენაც, აქ თავისებურ ყმა ტოლ-ამხანაგებში აღიზარდა მისი სული; აქაურ სოფლელ ყმაწვილებთან ჩილიკობასა, წყლის გუბეება—გადანაკადულებასა, მთებიდამ ქვის გორებასა და ანწლ ხილის ძებნაში გაუმაგრდა მკლავი, გაუმტკიცდა მუხლი, განუვითარდა გამჭრიახობა თვალისა და სულისა, დაეზოგა ძლიერობა ჯანისა. ძლიერს აგებულებაში ძლიერი სული მოთავსდა, დაწესდა ერთნაირი ზიარება ხორცსა და შიგნის შორის. მაგრამ ვისთვის და რისთვის? იგი ხომ არ ეკუთვნოდა არც მამა-დედას, არც და-ძმას და გაგლახ!—არც თავის თავს! იგი ხომ საყმოდ ჰასაკდებოდა და ყმა კი ხომ მაშინ ფასობდა როგორც ერთი რამ პირუტყვი, როგორც ერთი რამ სავაჭრო, სააღებ-მიმცემო საგანი, როგორც „ხელმოსაწყობი ნივთი“ ჩაგვრელთათვის, ვით „ურემში აბმული ხარი“ და არა კაცი. „კაცი ვარო?! ვის უთქვამს, ან საიდამ მოიგონე, რასა ჰროტავ, გლეხო ბრიყვო, უგუნურო, მხეცო მუშა?! თუ რომ კაცი ყოფილიყავ, შენი საქმე რამ დაღუპა!“ ესეთი ძახილები ესმოდა გარეშემო ვაჭრებისა, მემამულეებისა და ჩაგვრელებისაგან. ძლივს თერთმეტი წლისა შესრულდა, რომ დედ-მამა დაეხოცა, და ყმობის სახრე დააჭერინეს, ეზოს საგველი ცოცხი მისცეს, ბაკისა და ბოსლის სავეტი ნიჩაბი გაუკვეთეს, დააკისრეს კიდევ ათასი სხვა საქმე. მას შემდეგ ამოგკვნესა ცხონებულ უწინდელ მოჯამაგირეებმა: „დილიდგან საღამომდისინ არ მქონდა მოსვენებაო: დილით—ძროხაში მეზავნიდნენ, საღამოს—ღორისკენაო, ქორ-მეძებრებს თან მატანდნენ: —ხომ ინადირებ შენაო! თუ კურდღელი დაიჭირო, ტყავი შენ, ხორცი ჩვენაო, და თუ მელასა დაიჭერ, ხორცი შენ, ტყავი ჩვენაო“. განაღა ამაზედ დაბლა დაიძირება უსამართლობა?!

ასე გაათახსირეს. მუშა ბიჭი ნაგავსა და პირუტყვებში შეურიეს. მაგრამ მას დაბადებითვე ციური ნათელი ეკრა და მარგალიტი „სატეტიო ნაგავში“ არ დაიბურდა, აღრევე იწყო კრიალი და ბოლოს გამობრწყინდა მოციქულად იმ წრისა, რომელსაც ეკუთვნოდა შობით, მხატვრად იმ არემარესი და მუნებისა, რომელიც განუსაზღვრელად უყვარდა, ჭირისუფლად კოხტა და „გმირ ქართველებით“ მოსახლე ივერიისა, რომელიც მასავით დამძიმებული იყო გარეშეთა უხეშ მონობის უღლით.

დიახ, რჩეული არასოდეს არ დაიკარგება, აზში გამოანათებს სადმე.

საქართველოში თუმცა ბატონ-ყმობა, მჩაგვრელობა, უთანასწორობა მძვინვარებდა, მაგრამ ასეთშიაც იყო ერთი შვენიერი წესი: ქალთა მასწავლებლობა. ყოველ სოფელს ჰყავნდა ერთი ოსტატი ქალი მაინც. მის გარშემო იკრიბებოდა სოფლის ყმაწვილობა. ოსტატი ასწავლიდა ანბანს, წერა-კითხვას, უმღერავდა ვეფხისტყაოსნის დიდებულ ჰანგებს შესახებ ზეციურ სიყვარულისა, მეგობრობისა, გმირობისა, სამშობლოსთვის თავდადებისა, სახელოვან ვაჟკაცობისა. და ყველა ამ შრომისთვის მოწაფეთა გვირგვინის განასკვის დღეს იღებდა სულ მცირე „სასტატოს“. იოსების სოფელსაც ბედმა მოუვლინა თავისი ოსტატი. ეს იყო მისი ღვიძლი დაი კეკე, იგივე მელანია. მისგან წიგნი ისწავლა იოსებმაც. დაფათ ჰქონდათ ხარის ბრტყელი ბეჭი, მელნად ქვაბის მურის მონალესი, ასეთ მწირობაში იძენდნენ ცოდნას ჩვენი წინაპრები! მწირობა რას დაგიშლის, თუ აღტყინებული გაქვს სურვილი დაეწაფო განათლებას, ვინაიდგან ვისაც სწყურია სწავლა, ის ქვაბის მურის მონალესითაც კარგა გაიკვეთავს, ვისაც არა, იმას გიშერ-ფერი მელანი და ოქროს კალამიც ვერას შეაგნებინებს! ასრე შეიქმნა ჩვენი ყმა-ბიჭი მოანბანედ, მწიგნობრად, მგოსნად, მქადაგებლად. „კაცი არსად მოვკალი, არსად რა მოვიპარე, რაც რომ შრომით მოვიგე, მით მომძღე გავახარე, მათი გადანარჩენი სწავლაზე მოვახმარე... გაზეთი და წიგნები მუდამ ჯიბით ვატარე და იმათ შემაყვარეს ჩემი სამშობლო მხარე... გლეხებმა წიგნი ვისწავლოთ, ეს არის ჩვენი ვალიო, გვეყოფა რაც რომ გვძინა, დრო გავაღოთ თვალიო... ვეცადოთ, მარჯვედ ვიხმაროთ კალამი, მელანკალამში, მჩაგვრელთა მხარი ვუქციოთ ჩაგრულთა მივცეთ სალამი, სწავლისა, განათლებისა ავმართოთ დროშა-ალამი, მამულის მართვას შევუდგეთ, განვაგდოთ გულის ვარამი... ეცადე წიგნი ისწავლო, გირჩევ გულითა ლალაო, რომ წიგნის ცოდნით გიცნო ქვეყნის ხარჯი და ღალაო“.

ასრე გახსნა გონება, ასრე აეხილა „ბრმა თვალები“. მერე შემოესმა, რომ საჭიროა ფართო ცხოვრების გაცნობა. ადგა და ქალაქში წამოვიდა. ბედი, რომ მაშინ ბატონ-ყმობაც გადავარდა და მანაც ყმობას თავი დააღწია, თავი გამოიხსნა, განთავისუფლდა. მაგრამ ვაი ამისთანა თავისუფლებას! ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო რომ იტყვიან, სწორეთ ასრე დაემართა. მართალია, ისწავლა მეჩექმეობა, მექანდაკეობა, დურგლობა და კიდევ რა და რა, მაგრამ შავ-ბედს ვერ ასცილდა, პირიქით, თვალწყლიანი შავი ყორანი სამარის კარამდე უკან დასდევდა. ვერც წიგნმა, ვერც ხელოსნობამ, ვერც ქართულ თეატრში მსახურობამ, ვერც გაზეთში თანამშრომლობამ და ვერც ყოველ გვარ გარჯამ ლუკმა პური ვერ შესძინა, რაოდენათაც მუდმივო სავანე ვერ მოუპოვა. ამაოდ აწყდებოდა კუთხიდამ კუთხეს, ტყუილად სთვლავდა სამშობლოს არემარეს, ქართლს, კახეთს, იმერეთს, აღწერდა ბაგრატის ტაძარს, მოსთქვამდა: „ჰეი, ტაძარო, მტრისგან დამწვარო, რამდენი სისხლი შენთვის დაღვრილა, მაგრამ ქართველისა, შენი მმართველისა, ქედი მტრისა წინ არ დახრილა!“, უგალობდა ლამაზ მინდვრებს, მზეს, მთვარეს, ცას, ვარდს, გაზეთებს, საზოგადო მოღვაწეებს, ბროსეს და სხ., მაგრამ მისი სიწრფელე, მისი გულმოდგინება, მისი ქადაგება არსად დაფასდა. ფართო საზოგადოება, რომელსაც იგი შეჰხაროდა, რომლის წარმატება—აღორძინებისთვის იგი იბრძოდა, ეს საზოგადოება მას გულცივად დაუხვდა, ქართულ თეატრის კარებზედაც კი, სადა მას უპირატესობა მსახურებისა უნდა ჰქონოდა, იგი გაცვალეს ურიასა და სომეხზე! დატანჯული, დაუსვენებელი, ხშირად დღით-დღე ულუკმოდ დარჩენილი მაინც იმედით იყო სავსე, მაინც სიღარიბემაც ქვეყნის წინსვლაზე ოცნებობდა, დღე მუდამ ზრუნავდა შეეკავშირებინა ხელოსნები, გაეძლიერებინა, განეთლებინა, მაგრამ, ვიმეორებ, მისი დამნახველი თვალი არ იღებოდა. მწარე იყო მისი ხვედრი და მწარედაც დალია თვისი უმანკო სული.

მე მაგას პირველად შევხვდი დიმიტრი ბაქრაძისას. მაშინ უკვე მელექსეობდა და ისტორიკოსმა გამაცნო სიტყვებით: „უშბა მგოსანი იოსებ დავითაშვილი“. მორცხვი იყო, თავმდაბალი და ამ სიტყვებზე წამოწითლდა. ხელი ჩამოვართვი წარმოსადეგ ბრგე ახალგაზრდას. გლეხურად ეცვა მასრებიანი ჩოხა. მაღალი შუბლი, ცეცხლწინწკლების მფრქვეველი მისი თვალები ამტკიცებდნენ, რომ ის იყო მოწოდებული მომღერლად და მძღოლად ერისა. იმ ხანს ისტორიკოსისთვის ჩამოეტანა გადმონახატი ატენის სიონის წარწერისა, რომელიც გამოჩენილიყო საყდრის კედლის მოყრდნობილ ზღუდა-ნაგლესის ქვეშ ნაგლესზე. გადმოხატული წარწერა ბაქრაძემ წაიკითხა ასე: აგოსტოსსა გ-სა დღესა შაბათსა ქორონიკონსა ოგ-სა ზედა წელსა სარკინოზთასა ტფილისი დაატყუევა ბუღა და შეიპყრა და მოკლა ამირა საჰაკ და ამავე თუესა აგოსტოსა კგ-სა შეიპყრა კახამ ვეზირა და მე მისი თარხოვ...“ ეს ქორონიკონი უდრის 853 წელს. მანამდე კი ატენის სიონი მიაჩნდათ ძეგლად მე-XI საუკუნისა. ისტორიკოსი უსაზღვროდ გახარებული იყო. ამისთანა ახალ ცნობით შესახებ ატენის ძეგლისა და მრავალ გზის მადლს უძღვნიდა მუშა-მგოსანს, აქებდა, ამხნევებდა, სთხოვდა. იქაური სხვა ტაძრებიც დაეთვალიერებინა და წარწერები გადმოეხატა. ბოლოს მივეცით ათიოდე მანათი, რადგან, როგორც სჩანდა მის მორცხვ ლაპარაკიდან, ძალიან უჭირდა. მოკრძალებით გამოგვეთხოვა და წავიდა. მას აქეთ მე მისთვის დახმარება არ მომიკლია ჩემის მცირე შემოსავლით. იღებდა ხოლმე დარცხვენით, მოკრძალებით, ათას ბოდიშით. იოსებს შევხვდი იმავე ბაქრაძისას 1885 წელსაც. იქ იყო მაშინ დავით ჩუბინაშვილიც, რომელიც ჩამოსულიყო ტფილისის არქეოლოგიურ კრებაზე. იოსებზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ იქ ნალაპარაკევმა, რომ მერე დასწერა ლექსი „არხეოლოგები“, რომელიც სიყვარულითა და სწორმეტყველობით გამსჭვალულია: „არხეოლოგნი გვეწვივნენ, სწავლულნი უცხო მხრისა, გასინჯეს ძველი, ახალი სიმდიდრე ქართველისაო, იხილეს ძველი საყდრები მცხეთის და გელათისაო, განძები ნახეს მრავალი ოქრო-ვერცხლის და ხისაო, ზედ ნახეს ხელოვნებანი, საკვირველად დარჩათ ისაო, თქვეს, რომ საქმე ყოფილა ხელობა ქართველისაო, საქართველოა წალკოტი, ბულბულთ სასტვენი ბინაო, ხალხიც სტუმრის მოყვარე, ყველას მიიღებს შინაო, ასე მდიდარი ქვეყანა, ეფიქრობთ, რამ წაახდინაო, ახლა თუმც სუსტობს, მაგრამ კი სიკეთე უდევს წინაო“.

მის სხვა ლექსებში მრავალგვარი კილოა და ყველას კი ადევს ერთგვარი დიდაქტიური ბეჭედი. ყოველთვის ასეა: მდაბიობიდამ ამოსულ-ამოტივტივებულს მხურვალედ სწადიან მისი სიტყვა ჩასწვდეს ყველა ჯურღმულს და ყველა იქაური მკვიდრი მუშა, ტეტია, გლეხი, გლახა—გაათვითცნობიეროს, გაამწიგნობროს, ადამიანურ სასუფეველში ამოიყვანოს. რაღაა ამაზე დიდი მოწოდება, რომ დაძირული, ფსკერში მლოლავი მოძმენი წყვდიადიდან მზიანს ამოიყვანო, შვებით ამოასუნთქო! იგი ვაჟკაცურად უბრძანებს წყვდიად და ემუდარება მზეს:

„გადაიარე, წყვდიადო!..
გამო, მზეო, გამობრწყინდი,
გაანათე ჩვენი მხარე,
სიბნელეს ნუ შეუშინდი!“

მ. ჯანაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

## გერმანული პრესა.

14 იანვარი

### ჰინდენბურგის განცხადება

გენერალ ფელდმარშალმა ფონ-ჰინდენბურგმა ამერიკელ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ გერმანიის ჯარებმა რეინის აღმოსავლეთით უკან დაიხიეს სრული წესრიგით და რაც შესაძლებელი იყო ჩქარად. სხვათა შორის მან განაცხადა: ჩვენ ვასრულებთ დროებითი ზავის პირობებს რამდენადაც ხელს გვიწყობს მიმოსვლის საშუალებანი. დროებითმა ზავმა გვიწრო ჩვენ მწუხარებისა და უბედურების ჟამს. ყველაზე მძიმე ჩვენთვის ასეთ მოკლე ხანში დიდძალ ორთქმავალების და ვაგონების ჩაბარების მოთხოვნა, რადგანაც ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია სამშობლოს გადარჩენა ქაოსისაგან. როდესაც წესიერი დემობილიზაცია მოხდება, ჩემი მიზანი მიღწეული იქნება. რაც შეეხება მომავალს, მას მიმდინარე ამბები გადასწყვეტს. ბლოკადის გაგრძელება გერმანიას ძალიან შეაწუხებს, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ახლა ომი გათავებულია და (გაუგებარია)...

### სპარტაკელები

„დეიტჩე-ტაგებლატი“ ახასიათებს სპარტაკელების ახალ ტაკტიკის მიზანს, რომელიც სცდილობს სახალხო კომისარების არსებულ მთავრობაში დამოუკიდებლება მიიღონ მონაწილეობა. ეს სჩანს მოთხოვნილებიდან შეადგინონ კომისია კოალიციონურ საფუძველზე და პოლიციის უფროსი შესცვალონ დამოუკიდებელთა შეთანხმებით.

### ლედებურის და მეერის დაპატიმრება

გერმანიის გაზეთები იუწყებიან დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების ლიდერების და მეერის დატუსაღების შესახებ.

### ბერლინში

პოლკოვნიკ დეტას ხელმძღვანელობით 13000 ჯარისკაცისგან შემდგარი რაზმი ბერლინში შევიდა იანვრის 11. რაზმმა გაიარა კანცლერის სახლის წინ, სადაც სახალხო კომისარმა ებერტმა მათ მიმართა სიტყვით, რომელშიც სხვათა შორის სთქვა: ჩვენ მადლობას გწირავთ უკანასკნელ დღეებში თავგანწირულ მოქმედებისათვის, რომელიც მოწმობს რომ თქვენ მტკიცეთ და ერთგულად იცავთ რესპუბლიკას და მთავრობას, თქვენ უნდა წინაღუდგეთ უგუნურ ელემენტების სურვილს ჩაიშალოს ეროვნულ ყრილობის არჩევნები. ეროვნული ყრილობა იქნება თავისუფალ ხალხის ნებასურვილის გამომხატველი. იგი გადასწყვეტს გერმანიის ხალხის მომავალ ბედს ეროვნულ ყრილობას მხარს უჭერს გერმანიის ხალხის დიდი უმრავლესობა უგუნურ უმრავლესობას სურს უმრავლესობის დამორჩილება. მაგრამ ჩვენში თუ კი აუცილებელი შეიქმნება გადამწყვეტი ზომების მიღება, მოვიყვანთ გუნებაზე ამ ერთ მუჭა ხალხს. შემდეგ ილაპარაკა ნოსკემ რომელმაც სხვათა შორის სთქვა, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს რაზმი, რომელიც ჩვენს წინა სდგას შესძლებს გამოაფხიზლებელი შთაბეჭდილება მოახდინოს იმ ელემენტებზე, რომლებმაც მიზნად დაისახეს საზოგადოებრივი წესრიგის და სიმშვიდის დარღვევა. მთავრობა იბრძოლებს ამ ელემენტების წინააღმდეგ ყოველგვარ საშუალებით. არ არის შორს ის დრო, როცა დავაწყნარებთ ამ ბრბოს თუ 19 იანვარს კიდევ შეეცადენ მშვიდობიან მდგომარეობის დარღვევას, მაშინ ჩვენ ვიცით თუ როგორ ვებრძოლოთ მათ.

დროებითი ზავის გერმანიის კომისიამ ნეიტრალურ კომისარს გადასცა გერმანულ წითელ ჯვრის რწმუნებულთ, ექიმების სათნოების დათა და მღვდლების თხოვნა, რომ ნება მისცენ მათ ინახულონ ნეიტრალურ ქვეყნებში სამხედრო ტყვეების ბანაკები.

სჩანს ბერლინში მთავრობა იმარჯვებს. დღეს მიღებულ ცნობით სპარტაკელთა ყველა ბუდეები განადგურებულია და მოძრაობის მეტი ხელმძღვანელი დაპატიმრებულია. მათ შორის ლიბკნეხტის შვილი როზა ლუქსემბურგი, ლედებური და მეიერი. მთავრობის ჯარს „ფორვერტს“-ის შენობის აღების დროს დაუჭერია 800 კაცი და ქალაქი, ხელთ უგდია 100 ტყვიისმფრქვეველი, 1200 თოფი და 1000 ყუმბარა. იუწყებიან, რომ მთავრობას ყავს 20.000 კაცისგან შემდგარი ერთგული ჯარი, რომელიც ბერლინში სდგას. კოპენგაგენიდან იუწყებიან, რომ ბოლშევიკი რადეკი დაუპატიმრებიათ, ხოლო ეიცხორნს გაქცევა მოუსწრია. მოდის ცნობები პროვინციაში არეულობის შესახებ.

ბერლინიდან მოსული უკანასკნელი დეპეშები იუწყებიან, რომ ბერლინში მთავრობის მდგომარეობა თან და თან მტკიცდება, ბერლინში მოხალისეთა დიდი რაზმები მოდის.

## ინგლისი.

გენერალ სერ სეფტონ ბრანკერს რომელმაც ავიაციონურ სამინისტროდან გამოვიდა, მიზნათ აქვს შესწიროს თავი საჰაერო საავიაციო საქმეს. „დეილი-ექსპრესის“ თანამშრომელს საუბრის დროს მან განუცხადა, რომ ატლანტის ოკეანეზე გადაფრენა აუცილებლად მაისში მოხდებაო“. ეს შესაძლებელია ახლაც, განაცხადა მან, რომ შეგვეწირა დრო მანქანების გასაუმჯობესებლად. მაშინ ატლანტის ოკეანეზე გადაფრენა შესაძლებელი იქნებოდა 5 თვის წინ. საჰაერო ავიაციის გამარჯვება ახლო მომავალში გამოიხატებოდა ფოსტის ჰაერით გადატანაში. ეს დიდ სამსახურს გაუწევდა სახელმწიფოს. შემდეგ საჰაერო მიმოსვლაც შეიქნება.

ახალ კაბინეტში უმთავრეს მინისტრებათ დანიშნულნი არიან შემდეგი პირნი: ლოიდ ჯორჯი—პირველი მინისტრი, ბონარლოუ—თემთა პალატის თავმჯდომარე, კერზონი—ლორდთა პალატის თავმჯდომარე ბეერისი და ერუსკი უპორტფელო მინისტრები, გედესი—ლორდ კანცლერი, სმიტე—შინაგან საქმეთა მინისტრი, გამარ გრანუელდი საგარეო საქმეთა სეკრეტარი, ბალფური—ახალშენის საქმეთა სეკრეტარი, მილნერი—სამხედრო მინისტრი, ჩერჩილი—სა[illegible]ტრი, გენ. მაიორი სილი—სა[illegible] სეკრეტრის თანაშემწე და საავიაციო საბჭოს თავმჯდომარეთ, მონტეგიუმი—ინდოეთის საქმეთა სეკრეტარი, მის თანაშემწეთ სერ სინლა.

ახალ მთავრობაში უმეტესი ნაწილი ძველი შემადგენლობაა. გამონაკლისს შეადგენს სინდას დანიშვნა, რომელიც მოულოდნელი იყო რადგან წინასწარ სიაში არ იყო აღნიშნული. სინდა პირველი ინდოელი, რომელიც ბრიტანეთის მთავრობაში შედის და ფიქრობენ, რომ მას პერის ხარისხს მიანიჭებენ. სამინისტრო შემდგარია 30 უნიონისტისაგან, 25 ლიბერალისაგან და მუშათა პარტიის 4 წარმომადგენლისაგან, რომლის სიცხემა არჩევნების შემდეგ 6 მიაღწია.

ლოიდ ჯორჯმა რკინის გზათა დეპუტატებს განუცხადა, რომ კანონი რკინის გზაზე ნაციონალიზაციის განხორციელების შესახებ პირველ საკითხთა შორის წარედგინება პარლამენტს.

## ინგლისური პრესა

14 იანვარი

### ჩარლზ ვინდგამის სიკვდილი

სერ ჩარლზ ვინდგამი ინფლუენციით გარდაიცვალა.

### მოკავშირეთა უმაღლეს სამხედრო საბჭოს სხდომა

მოკავშირეთა უმაღლეს სამხედრო საბჭოს სხდომა ქონდა პარიზში. სხდომაზე ითათბირეს სხვა და სხვა საკითხზე და დროებითი ზავის ვადის გაგრძელების შესახებ. შემდეგ კონფერენციამ ითათბირა მომავალ საზავო კონფერენციის გეგმის შესახებ.

### პოლონელ აგიტატორების დაპატიმრება.

რუმინის და კასტროვის ოლქებში დააპატიმრეს მრავალი პოლონური აგიტატორები. მათ შორის არის ყოფილი რეიხსტაგის დეპუტატი სიხენსკი და მემამულე ციტსავას ორი ვაჟი. [illegible] გარდა ეჭვი აქვთ რომ იატრეცების მამულებში პოლონელნი აგიტაციას ეწევიან. სახლის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს იარაღის დიდი საწყობი.

### გერმანიის საზავო კომისიის პროტესტი

გერმანიის სამი შიკრიკი, რომელნიც ბელგიის მთავრობის სურვილისამებრ და გერმანულ კომისიის ლეგალურ ნებართვით ბელგიაში წამოვიდენ გერმანიაში გატანილი ბელგიის მთავრობის დოკუმენტების დასაბრუნებლად ბელგიის გაზეთების ცნობით ბრიუსელში დააპატიმრეს. დროებითი ზავის გერმანულმა კომისიამ ამის გამო პროტესტი განაცხადა.

## ინგლისური პრესა.

### ინგლისის ჯარი.

ლონდონის სასამართლო სათათბირო კომისიის თავმჯდომარემ სერ ჩიექსეს გუშინ სადილის დროს პრესის წარმომადგენლებს უთხრა, რომ ომის დაწყების დროს ინგლისის პრესას თავის განკარგულებაში ყავდა ყველა ჰასაკის 10,000 კაცი, ამათგან 5000 მსახურობდა ჯარში. მას არ შეხვედრია სხვა კორპორაცია, რომელსაც ასეთი მაგალითი ეჩვენებინა სამშობლოს სიყვარულისა.

ქრისტეშობისთვეში 630 დატყვევებული მტრის მოხალისეები დააბრუნეს სამშობლოში. ესენი იყვნენ ინვალიდები და ან ჯარში, გასაწვევ ჰასაკს გადაცილებული, სამხედრო უფლებამ ეხლა გადასწყვიტა, რომ არ არის საჭირო ინგლისში დააკავონ ჯარში გასაწვევი მოწინააღმდეგეთა მოქალაქე.

# იმერთა მეფე სოლომონ

(1815 წ.)

(გაგრძელება)

### ბ. ციციშვილის ხერხი. მისი და სოლომონის შეხვედრა.

სოლომონთან ციციშვილმა ვერა გააწყო რა დიპლომატიური მოლაპარაკებით. ამის გამო მან მიჰმართა ერთს ხერხს. ეს გახლავთ ოქროთი მოსყიდვა გავლენიანი პირებისა. აკი იკვეხის ციციშვილი, რომ რაც ვერ მოახერხა იმერეთში დიპლომატიის ენამ, ის შესძლო სავსებით ორმა ტომარამ ოქრომაო. მან ამ საზიზღარი საშუალების იარაღად აირჩია 60 წლის მოხუცი მებატონე გიორგი აბაშიძე, მან ორი თვის განმავლობაში დიდი მოხერხებით აუვსო ჯიბეები იმერთა გავლენიან პირებს, რომელთაც თანდათანობით შეიცვალეს თვისი წინანდელი აზრი და მეფეს ურჩევდნენ ნებაყოფლობით შეერთებოდა რუსეთს. მეფე დაიყოლიეს.

19 აპრილს 1804 წელს შეხვდნენ ერთმანეთს ელიაზნაურში მდინარე ჩხერიმელის ნაპირს სოლომონ მეორე და ციციშვილი. ლეჩხუმის საკითხმა შესწყვიტა მათ შორის მოლაპარაკება. რუსები შეუდგნენ ახლო-მახლო სოფ-

ლების (სერბაისა, ვაზ: ზედუბანი) დაპყრობას. სოლომონ. ეფიქრიანდა. გაუგზავნა კაცები ციციშვილს, რომელმაც დაუტოვა სოლომონს ლეჩხუმი ხელმწიფის ახალ განკარგულებამდის.

**6 ხელშეკრულება.**

25 აპრილს 1804 წელს სოლომონმა ციციშვილის დასწრებით მიიღო ფიცი ხელმწიფის ერთგულებაზე და ხელი მოაწერა სათხოვარ მუხლებზე, რომელთაგან მოვიყვანთ ზოგიერთებს:

მეფე იმერთა სოლომონი და მისი მემკვიდრენი—თუ დარჩებიან სამეფო უფლებით მოსილნი სამუდამოდ; თუ საკუთარი შვილი არ მიეცემა სოლომონს, მისი ძმისწული კონსტანტინე დარჩება მემკვიდრედ; გურია რჩება იმერეთის სამეფოს განუყრელ ნაწილად. რუსეთი მფარველობს იმერეთის სამეფოს; სამართლის წარმოება მეფეს ეკუთვნის; რუსის ჯარის წარმომადგენლებად უნდა იყოს იმერეთში მხოლოდ 120 ჯარისკაცი; ერთი სიტყვით, სოლომონის სათხოვარი მუხლები—გულისხმობენ იმერეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი უფლების შენარჩუნებას მცირეოდენი გამონაკლისით; ეს პირადი უნიაა, ერთობა ერთი სახელმწიფოისა მეორე სახელმწიფოსთან.

სოლომონს ებოძა ალმასით შემკული ალექსანდრე ნეველის ორდენი, რომლის მიღება მას არ გახარებია. გულცივად ჩამოართვა ციციშვილს ხელმწიფის ნაწყალობები.

**7. ხელმწიფის სიხარული.**

ციციშვილმა სიხარულით აუწყა სასწრაფოდ ხელმწიფეს იმერეთის შემოერთების ამბავი და გამოსთქვა ის აზრი, რომ რუსთა ხელმწიფემ ალექსანდრე პირველმა შეუერთა საქართველოს მეფის ალექსანდრე პირველის მიერ დანაწილებული საქართველო. ალექსანდრე პირველმა ამის გამო გამოსცა ტკბილი ფრაზებით შეზავებული მანიფესტი სოლომონ მეორის სახელზე. მასში სწერია, სხვათა შორის, „უუმოწყალესად ვინებეთ და დაგამტკიცეთ, ჩვენო საყვარელო ერთგულო მეფევ იმერეთისავ, სოლომონ, ამ თქვენს ხარისხში, რომელიც ჩვენ მიერ ამ ბოძებულის სიგელის ძალით თქვენი მემკვიდრენიც მარად ჟამს ჩვენგნით ვალდებულნი არიან, მიიღონ და ჩვენ ბრძანება აასრულონ...

ეს ალექსანდრე ხელმწიფის საყვარელი და ერთგული სოლომონი სცდილობდა ამის შემდეგაც რუსის ჯარი არ შემოეშვა ფოთში, რომლის ციხე ოსმალებს ეპყრათ... რუსები ცუდი ნავთსადგურის რედუტ- ეს საშუალებით შედიოდნენ ეთთან შკვე შეერთებულს სამეგრელოში...

1804 წელს, 24 ოქტომბერს გარდაიცვალა გრიგოლ დადიანი, რომლის სიკვდილს სოლომონს სწამებენ... მისი შვილი ლევანი მძევლად ჰყავდა აფხაზთა მთავარს ქელეშბეის, რომელთან კავშირი ჰქონდა სოლომონს უკანასკნელის ჩაგონებით ლევანს არ ათავისუფლებდა ქელეშ-ბეი. მაგრამ რუსების შეწევნით ლევაი გათავისუფლებულ იქმნა. 9 ივლისს 1805 წელს ლევანი დღესასწაულებრივად მთავრად გამოცხადდა რუსთა თანდასწრებით.

**8. სოლომონ მეორის უკმაყოფილებანი**

სოლომონ კარგად გრძნობდა რუსების თავომის გაიძვერობას: ლეჩხუმი მას არ დაუბრუნეს, კონსტანტინე ბატონიშვილს ციციშვილი მფარველობას უწევდა; სოლომონი სცდილობს რუსის ჯარი ქუთაისში არ შეუშვას; ის უარჰყოფს ციციშვილის წინადადებას—მეფემ განსაკუთრებული დესპანები გაუგზავნოს ხელმწიფეს მადლობის გამოსაცხადებლად იმერეთის რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებისათვის. სოლომონი კავშირს ჰკრავს ოსმალთან. ციციშვილმა გაიგო თუ არა ეს, გადაწყვიტა ძალით შეჭრილიყო იმერეთში, ტახტიდან ჩამოეგდო სოლომონი, გაეგზავნა რუსეთს და იმერეთი რუსეთის გუბერნიად გამოეცხადებინა.

სიკვდილმა უსწრო ციციშვილს. მისი სიკვდილის შემდეგ გენერალმა რაკგოფმა ფოთის საშუალებით ქუთაისი დაიჭირა. სოლომონმა განიძრახა გაედევნა ქუთაისიდან ჯარი. მასთან ერთად მთელი იმერეთი ყალყზე იდგა, ელოდა ზღვასავით. რუსის ჯარს სურსათს არ აძლევდნენ, და ისიც ათას გვარ ძალადობას ჩადიოდა.

**9. მთავარმართებელი გუდოვიჩი და ზურაბ წერეთელი**

1806 წელს გუდოვიჩმა, ციციშვილის ადგილს დანიშნულმა, ხმა გაავრცელა: რუსეთმა იმერეთი ოსმალეთს აჩუქაო. მეფემ ისარგებლა ამ გარემოებით და იმერეთი დამოუკიდებლად გამოაცხადა... მოიშორა თავიდან რუსთა მომხრე ზურაბ წერეთელი და დაიახლოვა რუსთა მოძულე როსტომ ნიჟარაძე... ზურაბ წერეთელი სცდილობდა რუსთა შემწეობით თავის გამეფებას, სოლომონის მაგივრად. ისიც კია, რომ ზურაბი არც რუსების ერთგული იყო მაინცდამაინც. ყველაზე უფრო სოლომონზე გავლენა ჰქონდა სოლომონ ლეონიძეს, რომელიც ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ, რის დიდი წინააღმდეგი იყო, გადასახლდა იმერეთში და მეფის კარზე ცხოვრობდა. რიკსოფი ქუთაისშივე იყო ჯარით. ზურაბ წერეთელს მასთან საიდუმლო კავშირი ჰქონდა. იგივე ზურაბი გუდოვიჩთან სოლომონს აბეზღებდა: თითოეულს მის ნაბიჯს ატყობინებდა. სცდილობდა თვისი ერთგულება რუსთადმი ამით ცხად ეყო. მაგრამ გუდოვიჩი ეჭვით უცქეროდა ზურაბის გაზვიადებულ ერთგულებას და არც სწამდა მისი მეფობის უნარი და სარგებლობა...

სოლომონი კი ქუთაისს გარბოდა. იმყოფებოდა მიუვალ ადგილებში და თავის შავბედს ებრძოდა. გუდოვიჩმა ქუთაისის ჯარი გააძლიერა კიდევ ერთი ბათალიონით. მეფე ახალციხისკენ წავიდა და იქიდამ თხოულობდა ლეჩხუმის დაბრუნებას და რუსის ჯარის ქუთაისიდან გაყვანას. ალექსანდრე ხელმწიფემ 1808 წელს ბრძანა სოლომონის ტახტიდან ჩამოგდება და ოჯახობით რუსეთს გადასახლება. იმერეთში ნაბრძანები იყო „დროებითი მართველობის“ დაწესება რუსეთის ერთგულ თავადთაგან. საჭირო შეიქმნა მიმხრობა ზურაბ წერეთლისა, რომელსაც უბოძეს პოლკოვნიკის ხარისხი და 1200 მ. პენსია. ზურაბი დარწმუნდა, რომ იმერეთის მეფის გვირგვინი რუსის მთავრობას არ აინტერესებდა და მის, ზურაბის, იმერთა თავისუფლების მოსასპობ იარაღად გამოყენება უნდოდა. დიდი პირმოთნეობით ექცეოდა რუსებს,—მაგრამ ამის შემდეგ სოლომონის სასარგებლოდ უფრო მოქმედებდა, სანამ რუსებისა. ის გვერდში ამოუდგა მეფეს და იცავდა მას ოსმალების დახმარების იმედით... მის მხარეს გადვიდა უფრო იმის შემდეგ, როდესაც იმერეთში მოქმედ ჯარის სარდლად დანიშნეს გენერალი ორბელიანი, რომელთანაც წერეთელს პირადი მტრობა ჰქონდა. ვერც ორბელიანმა მოახერხა იმერეთის დამშვიდება: სოლომონი კვლავ ლეჩხუმს თხოულობდა და რუსის ჯარის ქუთაისიდან გაყვანას...

**10. მთავარმართებელი ტორმასოვი.**

სოლომონმა ზურაბ წერეთელი გაუგზავნა ტორმასოვს მოციქულად. ზურაბი მასთან საუბრით დარწმუნდა, რომ სოლომონის განდევნა უკვე ნაბრძანებია და მის, ზურაბის, გამეფებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. გულში სიბრაზით რუსთადმი დაბრუნდა ზურაბი და გადაწყვიტა სოლომონისთვის მხარი დაეჭირა... ტორმასოვის ბრძანებით გენერალმა ორბელიანმა მოწოდებით მიმართა თავად-აზნაურობას და სამღვდელოებას. მაგრამ ვერც ამ მოწოდებამ გასჭრა. სოლომონი ამით მეტად აღელდა და მან მოიხმო თავიდა, სამღვდელონი და ერი და მოწოდებულებმა ერთხმად გამოუცხადეს მას ერთგულება. ექვსი ათასი კაცი მის გარშემო იარაღში ჩაჯდა. ტორმასოვის მოწოდებამ საქმე უფრო გაამწვავა, და ამ გამწვავებას ის ზურაბ წერეთელს აბრალებდა, რომელმაც ურჩია ეს ზომა. ტორმასოვი აჩუხებდა ზურაბ წერეთელს და თანაც ამასთანავე თხოვდა—მიეღო მონაწილეობა მეფის განდევნაში. ზურაბმა ძიკიბულ-მოკიბული პასუხი მისცა. სჩანდა, ზურაბმა დროებით უღალატა რუსებს... სოლომონმა მტკიცე კავშირი შეკრა ოსმალებთან, იმერეთში მის აგენტები ქაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე და სხვანი ხალხს აღელვებდენ რუსთა წინააღმდეგ. ბევრგან რუსებს გზა შეუკრეს. აქა-იქ ესხმოდნენ რუსებს და ხოცავდნენ. როსტომ წერეთელი, ლევან და დიმიტრი აბაშიძეები დაეცნენ თავს სოფ. ქვედაში არტილერიის ტრანსპორტს, სურამ დიდ ფოთს მიიავალს, პოლკოვნიკი სიმონოვიჩი ორი ბატალიონით იმერეთის გზით გაგზავნა ტორმასოვმა ფოთში ადგილობრივი ჯარის გასამაგრებლად. ამ პოლკოვნიკს საიდუმლოდ მიანდო სოლომონის შეპყრობა. სიმონოვიჩი დიდი გაჭირვებით ჩავიდა ფოთში: გზები წახდარი და ხიდები აშლილი იყო სოლომონის მიერ. შემდეგ ამისა სიმონოვიჩის ჯარი: ნაწილი ქართლში დაბრუნდა და ნაწილი იმერეთს დარჩა. სიმონოვიჩი კი დაინიშნა იმერეთში მოქმედ რაზმის უფროსად და დაევალა სოლომონის საქმე დაემთავრებინა. ტორმასოვი წინააღმდეგი შეიქმნა მეფის ძალით შეპყრობისა, თანახმა იყო შერიგებოდა მას იმ პირობით, რომ უსათუოდ ქუთაისში დასახლებულიყო, ტფილისს ამანათები გაეგზავნა და გაეთავისუფლებია კონსტანტინე ბატონიშვილი ოჯახობით. სოლომონმა ეს პირობანი არ შეასრულა. თანაც ჯარს აძლიერებდა საბრძოლველად.

**11. სოლომონის წერილი.**

ტორმასოვს მეფემ სოფრონ მიტროპოლიტის ხელით წერილი გაუგზავნა 1810 წელს იანვარში.

მეფე სწერს:

ა. ლეჩხუმი დადიანს მისცა რუსის მთავრობამ.

ბ. დეხვირის ციხის მცველი ჯარი რუსებმა ამოწყვიტეს და ციხე დადიანს მისცეს.

გ. ჩვენ მიერ დაბეჭდილი დანიშნულობისათვის დუქანი რუსის მოხელემ გასტეხა და საქონელი პატრონს მისცა.

დ. ციციშვილთან დადებული პირობის ძალით ასოცი რუსის ჯარი უნდა მდგარიყო ქუთაისში; ახლა კი მრავალი რუსის ჯარის კაცია.

ე. ქუთაისის სამეფო სასახლეში და თვით ჩემს საწოლში დაბალ მოხელეებს ხარები უსხედან, რომელნიც ჩემი თავადების ჯარისკაცთაგან წართმეული მოახლეებია.

ვ. ქალაქი ქუთაისი წამართვეს.

ზ. ჩემი სამეფო სასახლე დააქციეს.

Ƕ. თავადებს სცემენ უსამართლოდ; სამართალს ვთხოულობ და არ იძლევიან.

თ. ჩვენ ვინახავთ რუსის მხედრობას და ჩვენვე გვაგვინებენ და შეურაცყოფას გვაყენებენ—იმის ნაცვლად რომ წერილს ჩაკვირვებოდა, ტორმასომა იმერეთს გაგზავნა ელიზბარ ერისთავი და ამირეჯიბი, რომელთაც უნდა გაეძლიერებინათ რუსთა მომხრე პარტია, მიემხროთ გურულები და მეგრელები, აეჯანყებინათ რაჭა, განსაკუთრებით ცდილიყვნენ სოლომონ ლეონიძის მიმხრობას... „ეგ თავადიშვილი მეფის მოღალატეა და ფულის გულისთვის ყოველისფერს მოიმოქმედებსო“. - უსაბუთოდ ამბობდა ტორმასოვი ამავე დროს სიმონოვიჩის დასახმარებლად სურამში ჯარი შეამზადეს.

(შემდეგი იქნება)

ილია ფურაძე.

## კორესპონდენცია

### სოფ. გ. ორგიწმინდა.

ამ დღეებში გვეწვია კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ინსტრუქტორი არშაკ მარქარიანცი ადგილობრივ კოოპერატივის და ბანკის სარევიზიოდ, საზოგადო კრებას მოახსენა მარქარიანცმა, რომ დღეიდან დაარსებისა ათი თვის განმავლობაში კოოპერატივს წმინდა მოგება ათას თუმნამდისა ჰქონია; რაც კი ხალხისათვის საჭირო ყოფილა ყველაფერი უხვადა ჰქონიათ ასე, რომ ხალხი სხვა კოოპერატივებში აღარ წასულა; მის მოთავეს და დამაარსებელს იერემია გულისაშვილს საქმე ისე კარგად მიჰყავს, რომ ანგარიშების შემოწმება შესწორებას ორი დღე მოუნდა, სხვაგან კი პატარძეულს 11 დღე მოუნდომე შემოწმებასო.

საზოგადო კრებამ გადასწყვიტა წმინდა მოგებიდან ორმოცდაათი თუმანი გადასდოს გაზეთების გამოსაწერად წიგნთსაცავისთვის, რომელიც ამ წლიდან უნდა დაარსონ ბანკთან; ასი თუმანი გადასდეს ბანკის შენობის შესაკეთებლად, რომელიც უნდათ მოათავსონ ძველ კოშკში, ხოლო დანარჩენი ფული მოხმარდება კოოპერატივის გაფართოვებას.

მაგრამ როგორც ყოველგან, აგრეთვე აქაც ისეთი პირები გამოუჩნდებიან ხოლმე საზოგადო საქმეს, რომლებიც შურით თუ უსაქმურობით რალაცეებს ასტეხავენ ხოლმე, მაგრამ აქ კი ვერაფერი მოახერხეს, რადგან ხალხი ძალიან კარგად ხედავს ვინ არის მათი მოკეთე ან საქმის ამრევი და ვითომ და გულშემატკივარი.

იმავე იერემია გულისაშვილს სოფლის ხალხში შეუკრებია ათი სამასი თუმანი და ბანკი დაუარსებია მთავრობის მხრივ დაუხმარებლივ. ღარიბი ხალხი ძალიან ხელს იმართავს ამ ბანკით და დიდი მადრიელნი არიან ერემია და ლუნტა გულისშვილებისა, რომელნიც უსასყიდლოდ ემსახურებიან საზოგადო საქმეს, მართველებად ისევ ის პირნი აირჩიეს, რომელნიც აწარმოებდნენ საქმეს.

დამსწრე.

## სარწმუნოებრივი მდგომარეობა დიდი ლიახვის ხეობაში.

ამ ხეობაში ყველა მცხოვრებნი მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან როგორც ქართველები ისე ოსები. დ. ცხინვალში არიან სომხებიც, რომლებიც ისევე დადიან ქართველების სალოცავებში როგორც ქართველები. ყველა სოფელში, რაც უნდა პატარა იყოს იგი, თითრად გალესილი პატარა ეკლესია მოსჩანს, ზოგან ორიც და მეტიც.

გაუქმებული დანგრეული საყდრებიც ბევრია. წირვა ლოცვა იშვიათად სწარმოებს და გარდა დიდ სადღესასწაულო დღეებისა, ეკლესია ცარიელია მლოცავთაგან. მეტადრე იმ სოფლებში, რომელშიც მღვდელი სცხოვრობს; სხვა სოფლებში კი წირვა ლოცვას ხალხი მრავლად ესწრობა, (თითო მღვდელს ხუთი ან მეტი სოფელი აბარია, ორას, სამასი კომლი მცხოვრებით, მღვდელს შეხაფერი პატივის ცემა არა აქვს, თუმცა ეპყრობიან პატივისცემით მაშინ, მეტადრე როცა იგი სჭირდებათ ამა თუ იმ წესის ასასრულებლად, სხვა დროს კი არა.

სახლის განათვლა მშობიარობის შემდეგ, მონათვლა, ქორწინება, მიცვალებულის ანდერძის აგება, წინ გაძღოლა მღვდლისა ანუ მომეტებულ შემთხვევაში რამდენიმე. მღვდლისა, სუფრის კურთხვა, წლის განმავლობაში მიცვალებულისთვის წესის შესრულება, ყველა ეს მიცვალებულის „გაპატიოსნებათ“—ითვლება და ვერავითარი წინააღმდეგი ჩაგონება ვერ აცილებინებს ჩვენ ხალხს ამ წესებს. უღვდლოთ ყოველივე ზემო ჩამოთვლილი შეუძლებელია. არის შემთხვევები ხოლმე მიცვალებულის ნახევარ, თუ წლის წირვებზე. ანუ სამღვდელოებზე, ღვდელს ვერა შოულობენ, არ ეცლება ხოლმე, მაშინ უფროსი კაცი აკურთხებს სუფრას ანთებული სანთლით ხელში იტყვის ასე: „ღმერთო გამჩენო, შენ აკურთხე ისე, იმ რიგათ რომ რასაც მღვდელი იტყვის ხოლმე კურთხევის დროს ისე ჰქენო“. მღვდელს კი დიდ საყვედურსა და ჩხუბს უტეხავენ შემდეგში რომ ნახვენ, რატო არ მოხვედი ან რომ დაუგვიანდეს—მაშინაც. იმერეთიდგან ამბავი მოიტანეს ვითომ იქ უკვე უღვდლოთ ასაფლავებენ მიცვალებულებს, აქაურებს გაუკვირდათ, ეს როგორ იქნებაო, ამ მხარეში ჯერ არა ყოფილა მაგის მაგალითი, რომ უღვდლოთ ვინმე დღემარხათ, და უფრო დიდი ხარჯების გაწევა დაიწყეს ყოველივე სარწმუნოებრივი წესების შესრულებისთვის. მღვდლებს თითონ სოფლის ყრილობამ ზოგან თითო ფუთი, ზოგან ორი ფუთი პირნახული გაუჩინეს დრამით და თვითონვე მოუკრიფეს. სახლის განათვლაში თუ მონათვლაში ერთი ოცად აჯილდოვებენ მღვდელს, ვინმე შეწის. ჯვრის საწერს სამ თუმან ნაკლებ არავინ აძლევს, უფრო კი ხუთი ან ათი თუმანია ჯვრის საწერი, და ვაი იმ ღვდელს თუ „სწორედ არ დასწერა ჯვარი. ასე ამ გვარად ამ ხეობაში მღვდლების ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდა. ამ ხეობაში იციან „საკვირაძლოები“—ესე იგი კვირაძალზე ბინდისას მლოცავი ქალი თუ კაცი ზედაშით ხელში არაყი იქნება თუ ღვინო, იკრიფებიან საყდრებთან, ანთებენ სანთლებს გულმხურვალედ შეევედრებიან ღმერთს (მღვდელი არ არის ხოლმე, არც თხოულობენ) მერე სასმელით ერთმანეთს დალოცვენ, სჭამენ პურს და მშვიდობით მიდიან ხალხი.

ამ ხეობაში ყველა მღვდელი თავის მრევლში დარჩა, გარდა ოსების მღვდლებისა, ოსებს კი მომეტებული ნაწილი მღვდლებისა „გაექცათ“ რადგან მათ ჯამაგირები მოესპოთ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებიდგან, და მრევლი კი არაფერს აძლევდა არც უწინ და არც ახლა არავითარ წესის შესრულებისთვის ოსები ქართველ მღვდლებს პატიჟობენ წესების შესრულებისთვის და ქართველი მღვდლებიც თავისით მისდევენ მათ დაუზარებლად. სადაც წასვლა არ შეიძლება მთაში სიშორის გამო იქ მათი ბერიკაცები ასრულებენ ლოცვას და უკურთხებენ სუფრას და მარხვაში არ ერიდებიან მიცვალებულს და უკან საფლავებში. მამაპაპათაგან ნაანდერძევ სარწმუნოებრივ ჩვეულება წესებს დრმათ აქვს ფესვები გამჯდარი ხალხში და მისი ამოფხვრა ძნელია მეტად, თუმცა პირჯვრის დაწერა თითქმის სწორედ არავინ იცის, და არც რამე ლოცვები იციან რამე, წმინდაო ღმერთო და მამაო ჩვენოც არავინ არ იცის, საყდარშიც ორიოდ სიტყვით სანთლის ანთების დროს ღვთის შეხვეწნის შემდეგ თავის კერძო საქმეებზე გააბამენ ჩურჩულს, რომელიც შემდეგ ხმა მაღალზე გადადის და მღვდელი იძულებულია გააჩუმოს დრო და დრო. საყდრებში არავითარი ახსნა-განმარტება არ არის მღვდლისგან არც სახარებისა და არც სხვა წაკითხულისა მოქადაგე, „მოთარგმნე“, როგორც აქ უძახიან, მღვდელი იშვიათია, ვისაც კი აქვს ამის ნიჭი, ის დიდი პატივცემულია და ძალიანაც უყვართ თარგმნის მოსმენა და „აი შენ გიშველა ღმერთმაო“, ამ სიტყვებით აჯილდოებს მოთარგმანე მღვდელს. თარგმანი უყვართ მოკლე და მარტივი, ბევრი აჭია-ბაჭია გაბმული თარგმანი არ მოსწონთ მეტადრე მაშინ, როცა ფეხზე დგომით დაღლილი არიან, ან მიცვალებულს ასაფლავებენ. დღესაც არ დავიწყებიათ როგორც კერძო მოთარგმნე ხეითის მღვდელი ონისიმეი. თუ სამღვდელოება პირნათლად შეასრულებს თავის სამღვთო მოვალეობას, მრევლი შეინახავს მას, თუმცა სახელმწიფომ არ იზრუნოს მისთვის.

ა. ლ.

## ხმა ხელოსნისა

ყველა ქართველის გულს ახარებს დღევანდელი ჩვენი ერთსულოვნობა და ერის აღფრთოვანებული მოქმედება. დღეს დიდი და პატარა ერთს ფიქრსა ფიქრობს და ეს ფიქრია საქართველოს თავისუფლების დაცვა. აქ უნდა მოგახსენოთ მცირე ამბავი: სახელოსნოში შემოვიდა 10—12 წლის ბავშვი, ჩამოვრია ბაასში და გამოგვცა: ხუთი წლის რო ვიყავი, ერთმა სომეხმა მიშველაო, ობლობის გამო; დღევანდლამდის ვემსახურე, ეხლა გამომისტუმრა: „ქართველი ხარ, აღარ გვინდიხარო“... შევეკითხეთ—ახლა ვისთან გინდა დასდგე მოსამსახურედ? —ჯარში მინდა ჩავეწეროო, მხოლოდ არ ვიცი, მიმიღებენ თუ არაო, მასწავლეთ ვის მივმართოო. გაგვაკვირვა ბავშვის ამნაირ მოქმედებამ.

ჩვენ, ხელოსნებს გვაქვს ჩვენი წრე, ანუ ამქარი, გვყავს ოსტატების თავი, ე. ი. უსტაბაში, მისი თანაშემ[...]ნი, მაგრამ [...] არა[...]რამე კეთილი [...] ამ[...]ებლ[...] რომ მიმმართოთ, პირადათ თუ [...] ვეტყვის, საქმით ხელს შეგიშლის. [...]თი და დაგვრჩენია, ამხანაგურის [...]წოდებით მივმართოთ. ჩვენი გვ[...] შეგნებული ქართველი ხელოსნები, ივანე ბერძნიშვილი, ი. გარსევანი[...]ლი, ი. კალანდაძე, თ. დოლმაზა[...]ლი, აბულაძე და სხვა... მივმართ[...] რომ ყურადღება მიაქციოს ამ გა[...]მოებას და ჩვენც ჩავერიოთ ჩვენ [...]მეში. ვსთხოვ ბ-ნ ი. ს. ბერძნიშვი[...] როგორც ნაუსტაბაშარს, იკისრ[...] თუმცა პატარა, მაგრამ დიდ-მნიშ[...]ლოვანი საქმე: ქართველ ხელოსნე[...] მოაგროვოს ჩვენი მამაცი და გმ[...] ჯარის და გვარდიის საჭიროებ[...]ვის. ყველა ქართველი ხელოსანი [...]დის სიამოვნებით გამოიღებს თ[...] წვლილს. ჩემი მხრივ ვწირავ 60 [...]ნეთს, ჩემი მეუღლე ოლა 40 მან[...] თეთრ ფულს. გაუმარჯოს დამოუკ[...]ბელ საქართველოს, გაუმარჯოს [...]მოკრატიულ საქართველოს მამაც [...]თველ მხედრობას და თავ-განწირ[...] გვარდიას.

ხელოსანი ალ. მაჭავარიან[...]

## შემოწირულება

სომხეთთან ომში საქართველოს [...] სპუბლიკის დახოცილ და მძიმედ [...]რილ ჯარისკაცთა და სახალხო გ[...]დიელთა უმწეოდ დარჩენილ ოჯ[...] სასარგებლოდ შემოსწირეს:

ანეტა პაპავა—550 მ., პერსენა[...] 250 მ., კინტა—500 მ., ავგერი[...] 250 მ., რადოვიჩი—250 მ., სუხ[...] —100 მ., ანტონიადი—50 მ., კა[...]ნაკი—100 მ., გიზი—250 მ., [...]ლინა და ლუიზა—500 მ., უცნო[...]გან—100 მ. სულ 2900 მან.

ეს თანხა შეკრებილია ანეტა პ[...]ვას მიერ.

რედაქტორი გ. ქიქოძ[...]


## ფინანსთა სამინისტროსაგან

ფულის ტრიალის გასაადვილებლად და სახელმწიფოს არა ჩვეულებ[...] ხარჯების დასაკმაყოფილებლად, თანახმად საქართველოს პარლამენტის [...]დგენილებისა, რესპუბლიკის მთავრობა ჰსცემს 50.000,000 მანეთის 5 პრო[...]ტიან მოკლე ვადიან სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათ ერთი წლის [...]დით (ესე იგი 1 იანვრამდე 1920 წ.).

ვალდებულება უსახელოა და დაყოფილია შემდეგ კუპიურებად: 5,0[...] 1,000, 500, 100 და 25 მან.

თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულებანი 5,000 მან. 1,000 მანეთიანები შეიძლება გადაკეთდეს სახელობით ვალდებულებათ რა[...] უნდა ჩაიწეროს თბილისის ხაზინის დავთრებში.

**ალნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუ[...]ლებულია სახელმწიფო გადასახადისაგან.**

ვალდებულება მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალის დასაფარა[...] და აგრეთვე საწინდრათაც.

**ვალდებულების შეძენა შეიძლება**

**მხოლოდ ნაღდ ფულად**

ვალდებულებათა შეძენა შეიძლება 15 იანვრიდან სახელმწიფო ბან[...] რესპუბლიკის ყველა ხაზინებში, კერძო ბანკებში დასაკრედიტო კოოპერა[...]ვებში.

10—94—[...]

## ქალაქის შრომის ბირჟა

**ამით აცნობებს ყველა საზოგადო და კერძო დაწე[...]ბულებებს ქ. თბ. ბანკებს კანტორებს და სხ.,**

რომ ბირჟაში ჩაწერილია აუარებელი რიცხვი უმუშევართა; სხვა და ს[...]გვარ პროფესიებისა. რომელნიც იმყოფებიან უმწეო მდგომარეობაში ხა[...]შაოს უქონლობით.

შრომის ბირჟა იმედოვნებს, რომ ყველა მოთხოვნილებები, როგო[...] მუშებზე ისე ყოველგვარ მოსამსახურეებზე შარშანდულად გმოგზავნილ [...]ნება შრომის ბირჟაში, რაც მოგვცემს საშვალებას მცირედ მაინც შევამ[...]როდ უმუშევართა რიცხვი. შრომის ბირჟა ჰგზავნის უმუშევართ სამუშაო[...] ცდილობს სავსებით დააკმაყოფილოს დამქირავებლების მოთხოვნილებანი [...] უგზავნის მათ საჭირო მუშებს. გასულ წელს ბირჟამ ადგილი უშოვნა 4,0[...] უმუშევართ, რომელთაც სავსებით შეასრულა დამქირავებლების მოთხოვ[...]ლებანი; რის გამო ბირჟამაც დაიმსახურა ერთგვარი სიმპატია, როგო[...] კერძო დამქირავებლებს, აგრეთვე სხვა და სხვა დაწესებულებების მხრივ.

შრომის ბირჟაში მოთავსებულია „ცნობების მიმწოდებელი ბიუ[...]" რომელიც იძლევა ყოველგვარ ცნობებს „ხელფასის შესახებ“, უმუშევა[...] რიცხვს, ცნობებს სხვა და სხვა კატეგორიის შესახებ და სხვა.

შრომის ბირჟა უფასოდ აწარმოებს საქმეებს, როგორც უმუშევართა[...]ვის ისთე დამქირავებლებისათვის.

ბირჟას შეგიძლიათ მიმართოთ როგორც წერილობრივ, ისე ტე[...]ფონით.

შრომის ბირჟა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. შვადღის 3 ს. გა[...] კვირა და უქმე დღეებისა.

მისამართი მადათოვის ქუჩა № 11, სახლი ზუბალაშვილისა, ყო[...] „ლონდონის“ სასტუმროში, ტელ. 8—12.

შრომის ბირჟა უფასოდ აწარმოებს საქმეებს, როგორ[...] უმუშევართათვის ისე დამქირავებლებისათვის.

4—3

## ქართულ დრამატიულ სტუდიაში

განახლებულია მიღება ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა (განსაკუთრებით ინტელიგ[...]ტებისა). ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე 11-დან 2 საათამდე ქართული კ[...]ბის სცენაზე.

სტუდიის ხელმძღვანელი გ. ჯაბადარი. ✦ ადმინისტრატორი მ. ხერხეულ[...]

(6—92—3)


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გამზედის შესახვევი № 1.